პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 139 (19581) ◆ სამშაბათი, 17 ივნისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

გუშინ მოსკოვში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1986 წლის 16 ივნისს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხები:

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმა და პარტიული ორგანიზაციების ამოცანები მისი რეალიზაციის საქმეში;

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის 1986 წლის 10-11 ივნისის გუდაპეშტის თათბირის შედეგები.

ამ საკითხთა შესახებ პლენუმზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

პლენუმზე მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ:

ამხანაგები ვ. ი. ვოროტნიკოვი — რუსეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ვ. ვ. შჩერბიცკი — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. ნ. ელცინი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. მ. მალიხინი — ვოლგის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საავტომობილო ქარხნის ელექტრიკოსთა ბრიგადირი, ვ. ბ. კოლესნიკოვი — ელექტრონული მრეწველობის მინისტრი, ი. ფ. სოლოვიოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ს. ვ. კოლპაკოვი — სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრი, ნ. ნ. სლიუნკოვი — ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ი. ნ. ტროფიმოვი — ყაზახეთის კომპარტიის აქტიუბინსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ს. მურახოვსკი — სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარე, ნ. ს. ერმაკოვი — სკკპ კემერეროვოს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ნ. გოლუბევა — ივანოვოს ს. მ. კიროვის სახელობის საქსოვი შაბრიკის დირექტორი, ბ. კ. პუგო — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. კალაშნიკოვი — სკკპ ვოლგოგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, გ. ი. უსმანოვი — სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, მ. ს. შკაბარდნია — ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა მინისტრი, ჯ. ი. პატიაშვილი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. ვ. გალმონტი — ჩრდილოეთ-ბელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრი.

პლენუმმა მოიწონა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმის პროექტი და ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებები და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დასკვნები, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციას.

2. მოწონებულ იქნეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეიტანოს აღნიშნული პროექტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად. სესიაზე მოხსენების გაკეთება დაევალოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ნ. ი. რიჟკოვს.

3. პლენუმი ხუთწლიან გეგმას მიიჩნევს პარტიული კომიტეტების, სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, ხელმძღვანელი კადრების კონკრეტულ სამოქმედო პროგრამად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის. პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რომ საგეგმო მაჩვენებლებს ვუდგებოდეთ როგორც იმის მინიმალურ დავალებებს, რომლებსაც უნდა მივაღწიოთ დარგში, რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში, ქალაქში, რაიონში, ყოველ საწარმოო რგოლში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა ადამიანები, რომლებმაც გულითა და გონებით აღიქვეს XXVII ყრილობის იდეები, უზრუნველყოფენ მეთორმეტე ხუთწლედის ამოცანების წარმატებით შესრულებას, ჩვენი საზოგადოების შემდგომ წინსვლას კომუნისტური მშენებლობის ყველა მიმართულებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების ხუთწლიანი გეგმისა და მისი რეალიზაციისათვის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ

მოისმინა და განიხილა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების ხუთწლიანი გეგმა და პარტიული ორგანიზაციების ამოცანები მისი რეალიზაციის საქმეში“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებები და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დასკვნები, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციას.

2. მოწონებულ იქნეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეიტანოს აღნიშნული პროექტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად. სესიაზე მოხსენების გაკეთება დაევალოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ნ. ი. რიჟკოვს.

3. პლენუმი ხუთწლიან გეგმას მიიჩნევს პარტიული კომიტეტების, სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, ხელმძღვანელი კადრების კონკრეტულ სამოქმედო პროგრამად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის. პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რომ საგეგმო მაჩვენებლებს ვუდგებოდეთ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის 1986 წლის 10-11 ივნისის გუდაპეშტის თათბირის შედეგების შესახებ

განიხილა რა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის (ბუდაპეშტი, 1986 წლის 10-11 ივნისი) შედეგები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მთლიანად იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის შეთანხმებით წარგზავნილი საბჭოთა დელეგაციის საქმიანობას და თათბირზე მიღებულ დოკუმენტებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს შექმნილი საერთაშორისო ვითარების, ახლანდელი დაძაბულობის იმ მთავარი მიზეზების კოლექტიურ ანალიზს, რომელთა საფუძველია ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის საშიში საგარეო-პოლიტიკური კურსი, იმპერიული ამბიციები, უნდობლობა — ანგარიშს უწევდეს ხალხების ნებას და მოქმედებდეს ეენევის მორიგებათა სულისკვეთებით. ამ რთულ პირობებში მოძმე ქვეყნები არავის დაანებებენ გიაოლოო ისინი კონფრონტაციის გაღრმავების გზაზე და თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ მტკიცედ განაგრძონ შეიარაღების შემცირების, საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების, სახელმწიფოთა კონსტრუქციული თანამშრომლობის შესაძლებლობათა ძიება. ეს პრინციპული გეზი განსაზღვრულია სკკპ XXVII ყრილობის, სხვა სოციალისტური ქვეყნების მმართველ პარტიათა ყრილობების გადაწყვეტილებებით, რომლებმაც დასახეს უსაფრთხო მშვიდობის აშენების გზები და რეალური საშუალებანი.

პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მოკავშირე სახელმწიფოებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გააქტიურონ ერთობლივი კურსი, რომლის მიზანია შეწყდეს გამალებული შეიარაღება, ძირფესვიანად გარდაიქმნას სახელმწიფოთა ურთიერთობის მთელი სისტემა ყოვლისმომცველი, ყველასათვის ერთნაირი უშიშროების საფუძვლებზე. ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა ერთსულოვანი აზრით, საჭიროა კიდევ უფრო მეტი დინამიზმი, თამამი მიდგომა იმ ბრძოლის როგორც ძველი, ისე ახალი პრობლემების გადაჭრისადმი, რომელიც წარმოებს ომის საფრთხის წინააღმდეგ, სახელმწიფოთა ურთიერთობაში მშვიდობიანი თანაარსებობის დამკვიდრებისათვის.

დღეს მოძმე სახელმწიფოთა თანამოქმედების დონის, ხარისხისა და მასშტაბის გადიდება ყოველი მათგანის განვითარების შემდგომი დაჩქარების წყარო, საჭირო წინამძღვარია მსოფლიო სოციალიზმის ინტერნაციონალური ინტერესებისათვის ბრძოლაში.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე მთლიანად დაუჭირეს მხარი სკკპ XXVII ყრილობის, სხვა მოძმე პარტიათა ყრილობების საგარეო-პოლიტიკურ გეზს, რომლის მიზანია დამკვიდრდეს მშვიდობა, აღიკვეთოს მასობრივი მოსპობის იარაღი, შეიქმნას საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემა.

თათბირის არსებითი შედეგი გახდა ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების პოზიციებისა და პრაქტიკული მოქმედების შემდგომი შეთანხმება მიმდინარე პოლიტიკის ძირითად პრობლემებზე, როგორიც არის ბირთვული გამოცდის შეწყვეტა, ევროპის ზონაში საბჭოთა და ამერიკული საშუალო სიშორის რაკეტების სრული ლიკვიდაცია ორმხრივ საფუძველზე, საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების საკითხებზე, ქიმიური იარაღის ლიკვიდაცია, ბირთვული ენერგეტიკის უსაფრთხო განვითარების საერთაშორისო რეჟიმის განმტკიცება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთობლივ ინიციატივას ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების ფართო მასშტაბის შემცირების შესახებ — ატლანტიკიდან ურალამდე. ამ საკითხის გამო თათბირზე მიღებული მიმართვა თვალსაჩინოდ ავსებს და განამტკიცებს ბირთვული და სხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის სრული ლიკვიდაციის პროგრამას.

თათბირზე დადასტურდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური სახელმწიფოების თავდაცვითი სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შემდგომ განმტკიცებას, მათი თანამშრომლობის განვითარებას ყველა დარგში, მოძმე ქვეყნების სულ უფრო აქტიურ თანამოქმედებას საერთაშორისო საქმეებში, შეთანხმებული საგარეო-პოლიტიკური კურსის შემუშავება-განხორციელებაში, რომლის მიზანია უზრუნველყოს უსაფრთხოება, აღკვეთოს ბირთვული ომის საფრთხე და განამტკიცოს საყოველთაო მშვიდობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს შესაბამის საბჭოთა უწყება-ორგანიზაციებს შეიმუშაონ და მიიღონ ღონისძიებანი ბუდაპეშტის თათბირის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის, მისი დოკუმენტების ფართო პროპაგანდისათვის ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ, უზრუნველყონ მოძმე პარტიებთან მოქმედების კოორდინაცია, განახორციელონ საერთაშორისო დიპლომატიური ხასიათის სხვა ღონისძიებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი გამოთქვამს რწმენას, რომ სოციალიზმის მოძმე ქვეყნების მეგობრობასა და შეკავშირებას, მთელ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან და ფართო საზოგადოებრივ ძალებთან მათი თანამოქმედების შემდგომ განვითარებას შედეგად მოჰყვება სოციალიზმის მშვიდობიანი შეტევის შემდგომი გაძლიერება, საერთაშორისო თანამშრომლობის მოგვარება გამალებული შეიარაღების დარგში ურთიერთმისაღებ მორიგებათა მისაღწევად, მთელი კაცობრიობის განვითარებისა და პროგრესის საკეთილდღეოდ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების ხუთწლიანი გეგმა და პარტიული ორგანიზაციების ამოცანები მისი რეალიზაციის საქმეში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება

ამხანაგებო!

დღეს ჩვენ უნდა განვიხილოთ, თუ როგორ ხორციელდება ყრილობის მიერ განსაზღვრული გენერალური გეზი, შევაჯამოთ წინასწარი შედეგები და გამოვიტანოთ ყრილობისშემდგომი მუშაობის გაკვეთილი, განვსაზღვროთ პარტიის მორიგი ამოცანები.

რა თქმა უნდა, ყრილობის შემდეგ არც ისე ბევრი დროა გასული. მაგრამ ერთობ პასუხსაგებია ხანა და დიდია ამოცანები, რომლებიც დღეს დგება საზოგადოების წინაშე; ამიტომ ნიადაგ უნდა ვუწევდეთ კონტროლს ცვლილებათა მაჯისცემას, ვუსატყვისებდეთ ჩვენს მთანაფიქრსა და გეგმებს ცხოვრების რეალურ მდინარებას. ერთი სიტყვით, საქმე ეხება მომდინარე მომენტის არსს, იმას, თუ როგორ იქცევა შთანაფიქრის ენერგია მოქმედების ენერგიად, რა დაბრკოლებასა და სირთულეებს ვაწყდებით და როგორ ვიმოქმედოთ შემდგომ.

სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ საბჭოთა საზოგადოება ამოძრავდა ყველა სფეროში — პოლიტიკურში, ეკონომიკურში, სულიერში. საზოგადოებრივმა განვითარებამ შეიძინა მძლავრი დინამიკური მუხტი, რომელმაც მასების პოლიტიკური თვითშეგნების მოზღვავება გამოიწვია. მომთხოვნელობის, პრინციპულობის, ალალმართლობის ატმოსფერო, ყრილობაზე რომ სუფევდა, მამოძრავებელ გავლენას ახდენს ყველა პრაქტიკულ საქმეზე. საბჭოთა ადამიანები მხურვალედ ეხმაურებიან ნოვატორულ თაოსნობებს, მხარს უჭერენ მათ, შეუპოვრად იღვწიან, რათა გარდაქმნას საყოველთაო და საქმიანი ხასიათი ჰქონდეს. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ყრილობის იდეები მტკიცედ ყიდებს ფეხს საზოგადოებრივ შეგნებაში, ობიექტურად განსაზღვრავს მომდინარე პროცესების შეუქცევადობას.

ახლა ჩვენ კიდევ უფრო მეტად დავრწმუნდით, რომ ყრილობაზე სწორი, ახლანდელი დროის გარდამტეხი ხასიათის შესაბამისი გადაწყვეტილებანი მიგვიღია. მათ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ ქვეყნის, მთლიანად სოციალიზმის ბედ-იღბალში, რაც, რასაკვირველია, შორს გამიზნულ შედეგებს მოუტანს მთელ მსოფლიო განვითარებას. ჩვენ უფრო სრულად, უფრო კონკრეტულად გვაქვს წარმოდგენილი პარტიის ინიციატივით დაწყებული გარდაქმნების მასშტაბი და სიღრმე და ის სხვადასხვაგვარი სირთულენი, რომლებიც უნდა დაეძლიოთ. უკეთ ვხედავთ ჩვენ შესაძლებლობებსაც — დღევანდელსა და პოტენციურს.

არ ცხრება ყრილობისადმი ინტერესი საზღვარგარეთ. განსაკუთრებით ღრმა იგი სოციალიზმის ქვეყნებში. ყრილობის გადაწყვეტილებანი ქმედითი სტიმული გახდა მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. მეგობრების მოწონება და მხარდაჭერა გვარწმუნებს, რომ სწორია არჩეული კურსი, გვახსენებს დიდ პასუხისმგებლობას მისი თანამიდევრული, მიზანსწრაფული განხორციელებისათვის.

რეალისტურად მოაზროვნე ადამიანები მსოფლიოს სოციალისტურ ნაწილში საერთოდ ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ, რომ ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მასშტაბური გეგმები განუყრელად არის დაკავშირებული ისეთ საგარეო პოლიტიკასთან, რომლის მიზანია მშვიდობიანი მშენებლობა, ყოველმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა.

სულ სხვაგვარად შეხვდნენ ჩვენს გეგმებს მილიტარიზმისა და აგრესიის ძალები, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეები უდგანან სათავეში. ახლა ისინი კიდევ უფრო მტრულად ეწევიან ბრძოლას საბჭოთა ინიციატივების წინააღმდეგ, რომელთა მიზანია გაჯანსაღდეს საერთაშორისო ვითარება, ჩამოყალიბდეს ისეთი საერთაშორისო ურთიერთობა, რომელიც ბირთვულ-კოსმოსური ხანის ხასიათის ადეკვატური იქნებოდა.

საერთოდ, ამხანაგებო, ჩვენ საშინაო ამოცანებისა და საგარეო პირობების გათვალისწინებით უნდა განვიხილოთ ხუთწლიანი გეგმის საკვანძო საკითხები. იგი ძირითადი კარკასია ჩვენი მუშაობისა უახლოეს წლებსა და პერსპექტივაში.

ჩვენ შევუდექით ყრილობისშემდგომი საქმიანობის ისეთ ეტაპს, როდესაც მოვალენი ვართ გამოვიჩინოთ გარდაქმნისა და შენების უნარი, ვეძებოთ ახალი ფორმები და მეთოდები, წუთითაც არ მოვიტყუოთ თავი მიღწეულით. ახლა შეფასების მთავარი კრიტერიუმი ხდება ეკონომიკის განვითარების დინამიკური ტემპის მიღწევა, ეფექტიანობის მაღალი მაჩვენებლები, სერიოზული პოზიტიური ცვლილებანი სოციალურ სფეროში. ჩვენზე განსჯიან არა მარტო ჩანაფიქრის, არამედ უწინარესად საზოგადოებაში მომხდარი რეალური ცვლილებების მიხედვით.

I. გარდაქმნის პირველი გაკვეთილები

ამხანაგებო! ჩვენ მოვალენი ვართ პრაქტიკული საქმეებისა და შედეგების თვალსაზრისით მივუდგეთ ყველა პარტიული კომიტეტის, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების საქმიანობის შეფასებას.

სწორედ ასეთი მიდგომა მოგვცემს შესაძლებლობას სწორად გავერკვეთ არა მარტო მიმდინარე პროცესში, არამედ იმაშიც, თუ როგორ წარმართოთ შემდგომ პრაქტიკა. ასე უნდა მოვიქცეთ ამბიციებიც, რომ რეალურ ცხოვრებაში, როგორც ვხედავთ, ვითარდება არა მარტო პოზიტიური ტენდენციები — ისინი, რა თქმა უნდა, დომინირებს საზოგადოებაში, — მაგრამ მოქმედებს აგრეთვე დამაბრკოლებელი ფაქტორები, რომლებსაც აწყდება გარდაქმნის პროცესი. ზოგჯერ ისინი ობიექტური ხასიათისაა, მაგრამ მეტწილად შედეგად მოსდევს ინერციას, ძველსა და რბილში გამჯდარ ჩვევებს, გაყინულ ფსიქოლოგიას.

დღეს აქტიურად იჩენენ თავს ისინი, ვინც მტკიცედ დადგა XXVII ყრილობის პოზიციებზე, ენერგიულად ჩაება მუშაობაში, არ იშურებს არც დროს და არც ძალ-ღონეს, ეძებს და პოულობს თავის შესაფერის ადგილს გარდაქმნის პროცესში. ბევრნი არიან ისეთი ამხანაგებიც, რომლებსაც პოლიტიკურად ესმით ახლებურად მუშაობის აუცილებლობა, მაგრამ არ იციან, როგორ განახორციელონ ეს პრაქტიკულად. მათ ყოველნაირად უნდა დავეხმაროთ. არ შეგვიძლია არ ვამჩნევდეთ იმათაც, ვისაც ჯერ კიდევ ვერ შეუგნია მომდინარე ცვლილებების არსი, ვინც ლოდინს ამჯობინებს ან არ სჯერა პარტიის მიერ განზრახული ეკონომიკური და პოლიტიკური შემობრუნების წარმატებისა.

საზოგადოებაზე ღრმა ზემოქმედებას ახდენს ყრილობის დებულება — განვავითაროთ მასების შემოქმედება, როგორც დაჩქარების სფუძველი. იგი უმჯობეროსად ერწყმის ბრძოლას, რომლის მიზანია დამყარდეს სოციალური სამართლიანობა, განვითარდეს დემოკრატია, დამკვიდრდეს სრული საჯაროობა, განიწმინდოს ცხოვრება ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის ყველა გამოვლინებისაგან. იზრდება საბჭოთა ადამიანების ინტერესი პოლიტიკისა და ეკონომიკისადმი, კულტურისა და მორალისადმი, მთე-

(გაგრძელება მე-2 გვ.).

ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

ლი საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი. ეს საგრძნობ გავლენას ახდენს შრომითს და პოლიტიკურ აქტიურობაზე, ქვეყანაში დისციპლინისა და წესრიგის გაძმტკიცებაზე.

საბჭოთა ადამიანების ორგანიზებულობა და პატრიოტიზმი განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა საგანგებო ვითარებაშიც, როგორც ეს ჩერნობილში მოხდა. ატომური ელსადგურის ავარია მკაცრი განსაცდელი გახდა. მუშებმა, მეხანძრეებმა, ინჟინრებმა, ექიმებმა, მეცნიერებმა, მეომრებმა ძნელბედობის ჟამს სიმტკიცე, თავდადება და ვაჟკაცობა გამოიჩინეს.

მთელი ქვეყანა აღდგა ავარიის შედეგების აღმოსაფხვრელად. სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებში შემოდის უამრავი განცხადება, რომელთა ავტორები ჩერნობილში გაგზავნას ითხოვენ. ფართოდ გაჩაღდა სახსრების ნებაყოფლობითი შეგროვება ოჯახებისათვის, რომლებსაც უბედურება შეემთხვათ. ბევრმა შრომითმა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა უსასყიდლოდ ემუშავა რამდენიმე ცვლა დაზარალებულთა დასახმარებლად.

ნება მიბოძეთ, ჩვენი პლენუმის სახელით ღრმა სამძიმარი გამოვუცხადო დაღუპულთა ოჯახებს, გულითადი მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც თავგანწირვით ებრძოდა ავარიას, ვინც თავდადებით იღვწის დღეს მისი შედეგების აღმოსაფხვრელად.

ამხანაგებო! სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა მიმართულებით ჩვენს წინაშე რთული ამოცანები დგება. რა თქმა უნდა, მიამტობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს რამდენიმე თვეში დაეძლევდით ჩამორჩენას და ნაკლოვანებებს, წლების მანძილზე რომ გროვდებოდა. მავრამ სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპის გაძლიერების ტენდენცია დაისახა. ჩვენ ამაზე ვუკავშირებთ უწინარესად ხალხის აქტიურ შრომას, იმ პოზიტიურ პროცესებს, საზოგადოებაში რომ მიმდინარეობს.

მიმდინარე წლის ხუთ თვეში მრეწველობის წარმოების მატებამ გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 5-7 პროცენტი შეადგინა. არის ცვლილებები ისეთ დარგებშიც, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ჩამორჩებოდა: ქვანახშირის მრეწველობაში, შავ მეტალურგიაში, რკინიგზის ტრანსპორტზე. უკეთ დიაუყეს მუშაობა ხე-ტყის, ხის დამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის საწარმოებმა. ჯერჯერობით ვერ დაუძლევიათ სიძნელენი მენავთობეებს, მაგრამ აქაც დამამედებელი ტენდენციები დაისახა. დინამიკურად ვითარდება მანქანათაშენებელი კომპლექსის მთელი რიგი დარგები. დაძაბული მუშაობა წარმოებს აგრარულ სექტორში.

რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის ბევრ ოლქსა და მხარეში, ბალტიისპირეთში, სხვა ადგილებში აქტიური მუშაობა გააჩაღეს პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა. შრომითმა კოლექტივებმა, რომლებიც საქმით ამტკიცებენ, რისი მიღწევა შეგვძლებია, თუ ინიციატივა განვავითარეთ, შემოქმედებითი, საქმიანი ატმოსფერო შევქმენით საწარმოებში.

რა არის ახლა ყველაზე არსებითი? ის, რომ შევინარჩუნოთ ზრდის მიღწეული ტემპი და კიდევ უფრო გავაძლეროთ იგი. ეს რეალური საქმეა, მაგრამ დიდ ჯაფას მოითხოვს, მეტადრე, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ გარდაქმნას ჩვენ მხოლოდ ახლა შევუდექით: ჯერ კიდევ ყველაფერი როდია გაკეთებული ორგანიზაციული თვალსაზრისით, დღესდღეობით სრული ძალით არ მოქმედებენ ეკონომიკური ბერკეტები და სტიმულები, რომლებმაც გადამწყვეტი გავლენა უნდა მოახდინონ სახალხო მეურნეობაში შემდგომი სასიკეთო ცვლილებების მიმდინარეობაზე.

ეკონომიკის ცვლილებათა ანალიზი სრული არ იქნება, თუ უდავო წარმატებებთან ერთად არ აღვნიშნავთ სუსტ ადგილებს, მომენტებს, რომლებიც ხელს გვიშლის. მე ვიტყოდი, რომ თვით გარდაქმნაც ჯერ კიდევ ნელა მიმდინარეობს. ბევრ საწარმოში კვლავინდებურად ვამჯდარია იერიშობანაზე, ვერ შელეგიან ძველ ლოზუნგს: შეასრულე გეგმა, რადაც უნდა დაგიჯდეს. ხარისხის, ეფექტიანობის, ხელმძღვანელობის ახალი მეთოდებისაკენ შემობრუნება ძნელად და მტკივნეულად მიმდინარეობს. მაგრამ დღეს ყველასათვის უაღრესად ცხადი უნდა იყოს: ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ განაგრძობს ყოველივე ჯანსაღის, ყოველივე ძველ მხარდაჭერის გზს, რაც შეესაბამება ყრილობის გადწყვეტილებებს, რაც ნამდვილად მოასწავებს გარდაქმნას, წინსვლას. ასევე მტკიცედ ვიბრძვით ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც აბრკოლებს ამ პროცესს.

ის სიახლე, აპრილის პლენუმზე რომ დაიწყო და განვითარება პოვა XXVII ყრილობის გადწყვეტილებებში, დაკავშირებულია არა მარტო ეკონომიკური სფეროს, არამედ აგრეთვე მთელი საზოგადოების ღრმა გარდაქმნასთან. ეს რთული პროცესია. იგი მოითხოვს დიდ ჯაფას და სერიოზულ ცვლილებებს კადრების, ყველა შრომელის აზროვნებაში.

გარკვეულწილად შეძველით დაგვეძლია პასიურობა, გაგვიდიდებია პასუხისმგებლობა და ორგანიზებულობა, მეტი ასპარეზი შეგვეძლო ინიციატივისათვის. ამავე დროს საწარმოებში, მართვის სფეროში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და შემოქმედებითს კოლექტივებში, პარტიული და საბჭოთა ორგანოების საქმიანობაში გარდაქმნის პროცესი ფერხდება, უკან ეწევა ძველებური მიდგომა, ჯერ კიდევ ძლიერია ინერცია.

ვაწყდებით ფაქტებს, როცა სიტყვებით ცვლიან საქმეებს, როცა კრიტიკას არ სდევს პრაქტიკული დასკვნები, თვითკრიტიკა კი თვითგვემის ფორმას იძენს. ზოგიერთი ხელმძღვანელი არ იშურებს დეკლარაციებს საკაროობის შესახებ, სწორად ლაპარაკობს კოლექტივის როლის, ცხოვრებაში დემოკრატიული საწყისების განვითარების შესახებ, მაგრამ სამწუხაროა ის არის, რომ ამით მთავრდება ყველაფერი. სწორედ ეს ქმნის გარდაქმნის ილუზიას: სიტყვით ყველაფერი კარგად არის, რეალური ცვლილებანი კი არ ჩანს. ამის ერთ გარდაქმნა უკმ ბრძნვაზე გადადის.

ყრილობის შემდეგ გვქონდა დრომ გვიჩვენა, რომ ჩვენი წინსვლისა და მეურნეობრიობის ახალი მეთოდების ათვისების ტემპს მნიშვნელოვნად აფერხებს მართვის აპარატის სიდიდე და მუშაობის არაეფექტიანობა. ეს ფაქტ მტკივნეულად მიმდინარეობს, ერთი მხრივ, ცენტრალურ ეკონომიკურ უწყებებს, სამინისტროებს და, მეორე მხრივ, საწარმოებს, საწარმოო გაერთიანებებს, შრომითს კოლექტივებს შორის უფლებებისა და მოვალეობების გადანაწილების პროცესი.

მართვის ორგანოების ფუნქციების შეცვლის პირობებშიც კი ზოგიერთი ხელმძღვანელი ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს შეინარჩუნოს საკომანდო უფლებები, თუმცა უკვე ყველასათვის გასაგები და ცხადი უნდა იყოს მარტივი აზრი: სამინისტროს თუ უწყების არც ერთ, ყველაზე კვალიფიციურ აპარატსაც კი ეკონომიკის ახლანდელი მასშტაბის პირობებში არ შეუძლია იკისროს ყველა საკითხის წარმატებით გადაწყვეტა, არ შეუძლია შეცვალოს შრომითი კოლექტივების შემოქმედებითი აზრი.

აპარატის ყოვლისშემძლეობის ბრმა რწმენას ის ფაქტიც მოწმობს, რომ ცენტრში ახლაც მოდის თხოვნა მართვის ახალ-ახალი ორგანოების შექმნის, დამატებითი შტატების გამოყოფის შესახებ. მთელმა რიგმა რესპუბლიკებმა, რომლებიც გაუმართლებლად ცდილობენ ზუსტად გადაიღონ ცენტრში მოქმედი მართვის სტრუქტურა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართეს წინადადებით შეიქმნას ახალი სამინისტროები და უწყებები. და ეს იმ დროს, როცა მათ უკვე 50-ზე მეტი სამინისტრო და უწყება, მართვის სხვა ორგანო აქვთ.

განვლილმა თვეებმა დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ საზოგადოებაში გარდაქმნა შეუძლებელია ისე, თუ არ გარდაიქმნა პარტიის მუშაობის სტილი და მეთოდები ყველა მის რგოლში. ეს საკითხები დაწვრილებით გაშუქებას იმსახურებენ და მე მათ კიდევ დავუბრუნდები.

ახლა მინდა აღვნიშნო ის უდიდესი როლი, რომელიც პარტიული ორგანოების ხელმძღვანელებს ეკუთვნით ახალი სტილის დამკვიდრებაში. მათს პოზიციაზე, მოქმედებისა და ქცევის წესზე ბევრად არის დამოკიდებული, რამდენად თანამიმდევრულად და ენერგიულად გარდაიქმნება პარტიული მუშაობა.

ამ თვალსაზრისით საგანგებოდ მინდა აღვნიშნო მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნების და რაღა თქმა უნდა, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნების როლი. სწორედ ისინი არიან ვალდებული იძლეოდნენ ტონს მუშაობაში, გვიჩვენებდნენ პოლიტიკური თვალსაწიერის სიფართოვეს, ამოცანათა გაგების სიღრმეს, ორგანიზატორულ უნარს, დიდ პასუხისმგებლობას, კრიტიკულობასა და თვითკრიტიკულობას შეფასებებში, პარტიულობას ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით. მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვიქონიოთ რაიონში, ქალაქში, ოლქში, რესპუბლიკაში წარმატებული შედეგების, შემოქმედებითი ატმოსფეროს იმედი.

ამხანაგებო! რა ძირითადი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ ყრილობის შემდეგ ჩვენი მუშაობის პირველი თვეებიდან?

მთავარი ის არის, რომ პარტიაში, ხალხში აქტიურად იცავენ ყრილობის პოლიტიკურ გეზს. რაზმავს და აკავშირებს რა მშრომელებს, გარდაიქმნება თვით პარტია. განვლილმა თვეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა: გარდაქმნა ეხება ყველას — რგითი კომუნისტი იქნება ეს თუ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მუშა თუ მინისტრი, ინჟინერი თუ აკადემიკოსი. მისი ბოლომდე მიყვანა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი საყოველთაო-სახალხო საქმე გახდება. და ყველაფერი, რაც ამას ხელს უშლის, გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა. მასების შემოქმედებას ვერ შეავცვლიან დირექტივებით, საუკეთესო დირექტივებითაც კი. გარდაქმნა გულისხმობს შრომითი კოლექტივების, ყველა კადრის ინიციატივისა და დამოუკიდებლობის ყოველმხრივ განვითარებას. თანამედროვე პირობებში დაუშვებელია ცენტრიდან გადაიჭრას ყველა საკითხი, და ეს პრაქტიკულად შეუძლებელიც კია. ეს ეხმარიტება ყველამ უნდა შეიითვისოს. პრაქტიკულ საკითხთა გადაწყვეტისათვის პასუხისმგებლობის ძირითადი ნაწილი უნდა იტვირთონ საწარმოთა და გაერთიანებათა შრომითმა კოლექტივებმა. ხოლო საპირო ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური პირობების შექმნა წარმატებული საქმიანობისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გაშლისათვის ცენტრალური ორგანოებისა და მართვის პირდაპირი მოვალეობაა.

და ბოლოს, ყრილობის შემდეგ განვლილი დრო და უკანასკნელი მოვლენები სულ უფრო დამაჯერებლად ადასტურებს სიმართლის გაკვეთილის პრინციპულ მნიშვნელობას, რომელზეც ლაპარაკი იყო ყრილობაზე. ყოველ სიტუაციაში უნდა გვახსოვდეს ლენინის გაფრთხილება: „საშიშია ილუზიები და თვითმოტყუება, დამღუპველია ჭეშმარიტების შიში“, პარტიასა და ხალხს სჭირდება მთელი სიმართლე — დიდსა და მცირეში. მხოლოდ იგი უნერგავს ადამიანებს მოქალაქეობრივი მოვალეობის განვითარებულ გრძნობას, ტყუილი და ნახევარი სიმართლე კი ხრწნის შეგნებას, ამახინჯებს პიროვნებას, ხელს უშლიან რეალისტური დასკვნების, შეფასებების გამომუშავებას, ურომლისოდაც შეუძლებელია აქტიური პარტიული პოლიტიკა.

II. პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციის გადამწყვეტი ეტაპი

ამხანაგებო! ჩვენ უნდა განვიხილოთ ხუთწლიანი გეგმა და ის ამოცანები, რომლებიც მის შესასრულებლად უნდა გადაწყვიტონ პარტიამ, ქვეყნის ყველა მშრომელმა.

მეთორმეტე ხუთწლედს განსაკუთრებული როლი ეკისრება. იმაზე, თუ როგორ საფუძვლებს შევქმნით ამ წლებში სახალხო მეურნეობის ძირეული გარდაქმნების განსახორციელებლად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, დამოკიდებული იქნება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპი, ხალხის კეთილდღეობის დონე.

ხუთწლიანი გეგმის შედგენა, როგორც იცით, იოლი არ იყო. „ბაზის მიხედვით“ მეურნეობრიობისა და დაგეგმვის უწინდელი მეთოდები, როგორც გაანგარიშებებმა ცხადყო, ეკონომიკას ჩიხში აქცევდა. მთელი წლის მანძილზე დაჟინებით ვეძებდით ახალ მიდგომას, რომელიც წარმოების ინტენსიფიკაციის გაღრმავების პირობებს შექმნიდა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის ტემპის დაჩქარებას უზრუნველყოფდა. XXVII ყრილობაზე წარმოდგენილ იქნა ძირითადი მიმართულებანი, რომლებიც აკმაყოფილებდნენ პარტიის თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მოთხოვნებს.

ხუთწლიანი გეგმის მომზადებისას შევძელით მეტი წილი რაოდენობრივი და, რაც მთავარია, თვისებრივი მაჩვენებლების მიხედვით მიგვეღწია ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა დავალებების ზედა დონისათვის. გეგმის პროექტი ღრმად და ყოველმხრივ განვიხილეთ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში, მოვიწონეთ და შემოვიტანეთ ახლანდელი პლენუმის განსახილველად.

გეგმის რა თავისებურებებს უნდა მიექცეს ყურადღება?

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ მთლიანად გეგმა შეესაბამება XXVII ყრილობის მითითებებს. მათში გათვალისწინებულია, რომ ძალები და საშუალებები მთლიანად უნდა მოხმარდეს ეკონომიკის განვითარების ძირითად მიმართულებებს, შეიცვალოს სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკა საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის ინტერესებისათვის. გეგმა მიზნად გვისახავს სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის გადიდებას, იქტიურ რესურსდაზოგას, ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების ზემოქმედების გაძლიერებას, ხანგრძლივი ნორმატივების, მართვისა და მეურნეობრიობის ახალი მეთოდების გამოყენებას.

ეკონომიკაში ცვლილებების შესახებ ყველაზე სრულ წარმოდგენას იძლევა გეგმაში მოქცეული абსოლუტური მატებანი. მათ შორის უმნიშვნელოვანესი ერთ-ნახევარჯერ მეტია, ვიდრე წინა ხუთწლედში. ვთქვათ, ეროვნული შემოსავალი 124 მილიარდი მანეთით გაიზრდება მეთერთმეტე ხუთწლედის 79 მილიარდ მანეთის ნაცვლად. სამრეწველო პროდუქციის მატება შეადგენს 200 მილიარდ მანეთს 133 მილიარდი მანეთის ნაცვლად და სოფლის მეურნეობის საშუალო წლიური მთლიანი პროდუქციისა — 29 მილიარდ მანეთს 10 მილიარდ მანეთთან შედარებით. ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ტემპის დაჩქარება გათვალისწინებულია ხუთწლედის პირველი წლებიდანვე.

გეგმით დასახულმა ძალამ მიჯნებმა მოითხოვა ახლებურად მიდგომოდით ეკონომიკური ზრდის წყაროების განსაზღვრას. აქ განმასაზღვრელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ბაზაზე წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლების ძირეული გაუმჯობესება. ეს, ამხანაგებო, ის საფუძველია, რომელზეც აგებულია მთელი გეგმა.

ახალ ხუთწლეულში გათვალისწინებულია ეროვნულ შემოსავალში მეთოდების ფონდის წილი ბიუჯეტიდან 27,6 პროცენტამდე. ეს კაპიტალურ დაბანდებათა მატების ამსოლუტური ოდენობის გადიდების რეალურ პირობებს ქმნის. მთლიანად სახალხო მეურნეობაში მათი მატების ტემპი 1981-1985 წლების 15,4 პროცენტიდან 23,6 პროცენტამდე გაიზრდება. გეგმით დასახულია მოქმედი საწარმოების ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის ვრცელი პროგრამა. ამ მიზნებისათვის ასიგნებანი გადიდდება 70 პროცენტით, მათი წილი კი საწარმოო კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობაში ხუთწლედის დამლევისათვის 50 პროცენტს გადააჭარბებს.

ფართო მასშტაბით გაიშლება წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. ყოველივე ეს შექმნის იმის წინამძღვრებს, რომ გავაუმჯობესოთ შრომის პირობები და 1990 წლისათვის ხელით სამუშაოებისაგან გამოვათავისუფლოთ 5 მილიონზე მეტი კაცი, რაც ორჯერ და მეტად აღემატება წინა ხუთწლეულის მაჩვენებელს. განხორციელდა ენერგეტიკული და მატერიალური რესურსების ეკონომიის დიდი ღონისძიებანი.

მთლიანად, ამხანაგებო, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის, მართვისა და მეურნეობრიობის მეთოდების სრულყოფისათვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებათა კომპლექსი საშუალებას მოგვცემს ეროვნული შემოსავლის მატების საშუალო წლიური ტემპი დავაჩქაროთ 4,1 პროცენტამდე, ანუ თითქმის მესამედით წინა ხუთწლედთან შედარებით.

ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების ბაზაზე დასახულია განხორციელდეს დიდი სოციალური პროგრამა. გაიზრდება მოსახლეობის რეალური შემოსავალი, გაუმჯობესდება სურსათით სახალხო მოხმარების საქონლით მომარაგება, გაფართოვდება მომსახურების სფერო, გაგრძელდება მუშაობა ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სრულყოფისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბინაო პრობლემის გადაჭრას. უნდა აშენდეს 595 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ამასთან გაუმჯობესდეს მისი ხარისხი და კომფორტულობა. უპირატესად განვითარდება ბინების მშენებლობა სოფლად. ეს დიდი ღონისძიებებია, მაგრამ მათ აღ უნდა დავსაჯერდეთ. საბჭოთა ადამიანების საბინაო პირობების გაუმჯობესების გზების ძიება უნდა განვაგრძოთ, ამასთან უნდა გამოფიუენოთ ყველა საშუალება და შესაძლებლობა, აქტიურად განვავითაროთ კოოპერაციული და ინდივიდუალური მშენებლობა.

ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას უნდა მოხმარდეს ეროვნული შემოსავლის დაახლოებით ოთხი მეხუთედი. საპირო დონეზე უნდა შევინარჩუნოთ ქვეყნის თავდაცვითი ძლიერებაც.

ერთი სიტყვით, მეთორმეტე ხუთწლიანი გეგმა უდიდესი ნაბიჯია სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის განხორციელების გზაზე. ირსებითად ეს არის თითოეული დარგის, თითოეული რესპუბლიკის, მთელი სახალხო-სამეურნეო კომპლექსისა და საერთოდ საზოგადოების საქმიანობის პროგრამა. პოლიტბიუროს მიაჩნია: ის ის ყველა საფუძველი, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონოს ეს გეგმა და მინისტრთა საბჭოს დაავალა შეიტანოს იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად. ნ. ი. რიჟკოვი ამის თაობაზე მოახსენებს დეპუტატებს.

ა) არ გავიმეოროთ წარსული შეცდომები

ობიექტურად ვაფასებთ რა წარმოდგენილ გეგმას, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ მისი შესრულებისათვის საჭირო იქნება დაძაბული მუშაობა. ჩვენ უნდა მივაღწიოთ დასახულ მიჯნებს, განვახორციელოთ სახალხო მეურნეობის ახალი რეკონსტრუქცია, რათა შევქმნათ მისი ეფექტიანობის შემდგომი ზრდის პირობები. ყოველივე ეს უნდა გავაკეთოთ, ამხანაგებო, მომავალ ხუთ წელიწადში.

უკანასკნელ ხანს შევძელით რამდენადმე გაგვეუმჯობესებინა მუშაობის შედეგები. მაგრამ ეს უწინარეს ყოვლისა მიღწეულია რეზერვების ხარჯზე, რომლებიც, როგორც იტყვიან, ზედაპირზე ძევს. იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ხანგრძლივი და სტაბილური წარმატება, უნდა ვიზრუნოთ უფრო კარდინალურ ღონისძიებათა განსახორციელებლად. სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილება გვასწავლის, რომ საზოგადოების რეალური განვითარების გარდამტეხ მომენტებში გაბედულად უნდა დავადგეთ მკვეთრი შემობრუნების გზას, არ შევუშინდეთ გადამწყვეტ გარდაქმნებს.

ყველამ ვიცით, თუ რას წარმოადგენდა რუსეთის ეკონომიკა დიდი ოქტომბრის წინ. მისი სამრეწველო წარმოების მოცულობა ამერიკის შეერთებული შტატების დონის მხოლოდ 12,5 პროცენტს შეადგენდა. ლენინისათვის, ბოლშევიკთა პარტიისათვის სრულიად ცხადი იყო, რომ სოციალიზმი გაიმარჯვებდა მხოლოდ ეკონომიკის ძირეული გარდაქმნის, უდიდესი შრომის ნაყოფიერების მიღწევის გზით. საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე პარტიამ გააჩაღა ბრძოლა სახალხო მეურნეობის ტაკიეე ვინაიდან ლენინი ეს ეკონომიკის, ინდუსტრიალიზაციის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის სრულყოფის შესახებ. განსაზღვრულია რესურსდაზოგვის დარგში მუშაობის ძირითადი მიმართულებანი. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებას. და, ბოლოს, კარგი საფუძვლები შეექმნა მართვისა და მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადასვლას.

მიღებულ გადაწყვეტილებათა მიზანია ხელი შეუწყოს ჩვენი ეკონომიკის გადაყვანას ინტენსიური განვითარების რელსებზე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დაჩქარებული დანერგვის საფუძველზე. მთელი ეს მუშაობა, ამხანაგებო, მტკიცედ უნდა ვაწარმოოთ ყველა მიმართულებით. ბუნებრივია, ახლა მოქმედება გვმართებს ხუთწლიანი გეგმის ფარგლებში. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის პროცესების შემდგომი გაღრმავებისა და ეფექტიანობის აპაღლების უდიდესი შესაძლებლობანი.

ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

სამუშაო ადგილების რიცხვი 4 მილიონს გადააჭარბებს. მათ შექმნას ათმილიარდობით მანეთი მოხმარდა. ჰოდა გამოდის, რომ მოქმედ საწარმოებში მუშაობს ძველი მოწყობილობა, ახალში კი ვერავინ დაუყენებია ჩარხთან. სახსრები დახარჯულია, ჯეროვანი უკუგება კი არ არის.

ამხანაგებო! დღეს პლენუმზე საჭიროდ მიმაჩნია განსაკუთრებით მივაპყრო ყურადღება იმ ფაქტს, რომ საინვესტიციო პოლიტიკის ნაკლოვანებებმა ყველაზე დამღუპველი გავლენა მოახდინა მანქანათმშენებლობის დარგების განვითარებასა და. ტექნიკურ დონეზე.

მანქანათმშენებლობის კაპიტალური დაბანდების წილი ინვესტიციების საერთო მოცულობაში გაუმართლებლად შეამცირეს. ამაში ბრალი მოუძღვით მგეგმავ ორგანოებსაც და სამინისტროებსაც. ძირი გამოეთხარა ინჟინრული შემოქმედების პრესტიჟულობას, დანაკარგებულია საქვეყნად ცნობილი ტექნიკის შემმუშავებელთა სამამულო სკოლები. ფეხი მოიკიდა წაბაძვისა და უღიმღამობის მანკიერმა ფილოსოფიამ. ამის შედეგად პროდუქციის ნაწილი არ შეესაბამება მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე დონეს.

რა ამბავია, ამხანაგებო, სად არის ახლანდელი მანქანების ტექნიკური დონის მხრივ შექმნილი მდგომარეობის ფესვები? უწინარეს ყოვლისა, ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩვენ დღემდე არსებითად არ გაგვიჩნია უახლეს მსოფლიო მიღწევათა სისტემური ანალიზი. ახალი ტექნიკის შემუშავებისას პრაქტიკულად არ ვითვალისწინებდით ხარისხისა და საიმედოობის უმაღლესი დონის მიღწევას. თუმცა, ბოლო დროს დაიწყეთ ანალოგების მიხედვით ტექნიკის შეფასების მოწყობა. მაგრამ ამასთან ეტალონად იღებენ არცთუ მთლად ახალ საზღვარგარეთულ მოდელებს. ეს არის საგანგებო ნიმუში იმ პირთა ადამიანდროინდელი აზროვნების და თვალის ახვეევისა, ვინც პასუხს აგებს საჭირო ტექნიკის შექმნისათვის. ვის ატყუებს ყველა ეს ადამიანი? გამოდის, რომ თავის ხალხს ატყუებენ.

გარკვეულწილად, პროდუქციის საშუალო, ხშირად კი დაბალ ტექნიკურ დონეზე დადგენილი ორიენტაცია მოქმედი სტანდარტებით იყო დაკანონებული. სტანდარტთა სისტემა არ რაზმავდა კონსტრუქტორებს ახალი გადაწყვეტების ძიებისათვის, არ ქმნიდა დაბრკოლებებს ჩამორჩენილი ტექნიკის წარმოების გზაზე. ეტყობა, თავისი ქნა იმანაც, რომ ბევრ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტსა და საკონსტრუქტორო ბიუროში ერთგვარი არასრულფასოვნების სინდრომი ჩამოუყალიბდათ. დაბალ შემოქმედებითს შედეგებს იმით ამართლებდნენ, რომ უკეთ მუშაობა არ შეიძლებაო. არც მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, ინჟინერთა შრომის სტიმულირებაში გვქონდა ყველაფერი რიგზე.

მრავალი წლის მანძილზე ჯერ-ოვანი ყურადღება არ ეთმობოდა სამეცნიერო-საკვლევი და საცდელ-საექსპერიმენტო ბაზის განვითარებას, მას არ ხმარდებოდა საჭირო კაპიტალური დაბანდებანი და რესურსები. გასაგებია, რომ ყოველივე ეს დაოს დასვამდა მანქანათმშენებლობის ტექნიკურ დონეს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპს.

ასეთია, ამხანაგებო, სიტუაცია, რომელიც წინ უძღოდა აპრილის პლენუმს. იგი ყოველმხრივ გააანალიზა ცენტრალურმა კომიტეტმა. შემუშავებული ღონისძიებანი ერთსულოვნად მოიწონეს პლენუმმა და პარტიის ყრილობამ. მინდა ერთხელ კიდევ ვუთხრათ იმათ, ვინც უკან გვექაჩება. ჩვენ ვერ შეეურიგდებით და არც შეეურიგებით ამგვარ ცდებს, ჩვენ უნდა აღვკვეთოთ ყოველგვარი მცდელობა წინანდელი მდგომგბისა და შეცდომების ტირაჟირებისა, უწინარესად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სფეროში.

დარწმუნებული ვარ, ცენტრალური კომიტეტის პლენუმი პრინციპულ გეზს დაადგება ჩვენი საშინაო პოლიტიკის ამ ძირეულ საკითხში, მხარს დაუჭერს პოლიტბიუროს და მთავრობის ყველა საჭირო ღონისძიებას, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს გავარეკოლეცეროთ ჩვენი ეკონომიკის განვითარება, გავიყვანოთ იგი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ავანგარდულ პოზიციებზე. მე უკვე მითქვამს, რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის წევრებს, რომლებიც სკკპ XXVII ყრილობამ აირჩია. ჩვენ, ამხანაგებო, ვერ ავარიდებთ თავს ამ ისტორიულ პასუხისმგებლობას.

მაინც, რისი გაკეთება გვმართებს უწინარეს ყოვლისა საიმისოდ, რომ ყველაზე უკეთ შეგასრულოთ მეთორმეტე ხუთწლედის დაძაბული გეგმა და შევქმნათ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომი დაჩქარების საჭირო წანამძღვრები?

ჩვენ ამ ამოცანის გადაჭრა ორ-სამ ეტაპად ან ერთ ეტაპად ან ერთ ეტაპად ან ერთ

ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

აი ზოგიერთი მაგალითი. ვოზნესენსკის ჰიდროწნეხების ქარხნის რეკონსტრუქციის პროექტი შეასრულა საინტერიმენტო და ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტროს „უკრძანძნაპროექტის“ ხარკოვის ინსტიტუტმა. ხალხი, რა მაჩვენებლებია მასში მოცემული: მომუშავეთა რიცხვი დასახული ყოფილა ნაზოგადოთ ხუთჯერ და მეტად, შრომის ნაყოფიერების მატება კი მხოლოდ 70 პროცენტით. უფრო მეტიც, ამ მატებაში მხოლოდ მესამედი არის უზრუნველყოფილი ტექნიკური გადაწყვეტების გამოყენების გზით, ორი მესამედი კი პროდუქციის ფასების გადიდებით.

ამგვარად მოქმედებენ სხვაგანაც. საფეიერო მრეწველობის საწარმოთა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა შეიმუშავა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ‘მოსკოვის საჩითავი ფაბრიკის რეკონსტრუქცია: მოწყობილობის პარკის ნახევარი აქ უნდა შეადგინონ მანქანებმა, რომელსაც უმოდერნიზაციოდ უშვებენ 15 წელზე მეტია. ამ მანქანებზე შეუძლებელია საჭირო ასორტიმენტის მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება, დიდი შრომის ნაყოფიერების მიღწევა.

ისმება კითხვა: რას უპირებენ ქვეყანას, ასეთი ვაი-პროექტანტები და სამინისტროების მუშაკები, რომლებიც ამ პროექტებს ამტკიცებდნენ? ცხადია, რომ ამგვარი პროექტები სახელს გაუტეხს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების იდეას და ეკონომიკას დამამძიმებელ ხარჯებში ჩაგდებს.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, ყოველივე აქედან უნდა გამოვიტანოთ საჭირო დასკვნები, დაუყოვნებლივ, უმოკლეს ვადებში უნდა მოვახდინოთ მეთორმეტე ხუთწლედში სარეალიზაციო ტექნიკურ-ეკონომიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის ყველა პროექტის ექსპერტიზა. და ის პროექტები, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანებს, გადაჭრით უარყოფთ, ავკრძალოთ მათი რეალიზაცია, გამოთავისუფლებული რესურსები კი მოვახმაროთ მოწინავე ტექნიკის წარმოების განვითარებას.

ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტების დონისთვის პასუხისმგებლობა, უწინარეს ყოვლისა, ეკისრებათ სამინისტროებს, რომლებიც უნდა იყვნენ დარგების ნამდვილი ტექნიკური შტაბები. უწინარესად სწორედ მათ უნდა მოგკიოთხონ.

ამ საკითხებს მინისტრთა უყურაღღება მივაპყოთ ჯერ კიდევ შარშანდელი წლის ივნისს თათბირზე, სადაც პირდაპირ დავალეთ გადაესინჯათ ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტები.

საჭიროა, ამხანაგებო, გადაჭრით შევცვალოთ საქმისადმი მიდგომა. ვერ დავუშვებთ, რომ მილიარდობით სახსრები ხმარდებოდეს მორალურად მოძველებულ ობიექტებს, რომლებიც ეფუძნებიან უვარგის ტექნიკურ გადაწყვეტებს. თუ ასე ვიმოქმედებთ, ჯერ მეგალეწევთ წარმოების თანადროულად შესაფერი შესაფერი დონეს. ამას კი ვერ დავეთანხმებით, მეტსაც ვიტყვი, უფლება არა გვაქვს დავეთანხმოთ.

ყველამ იცის, თუ რამდენად მრავალად დგას მსუბუქი მრეწველობის საქონლით ხალხის უზრუნველყოფის საკითხი. ზოგიერთი სპეციალისტი გვთავაზობს ამისათვის ახალი საწარმოები ავაშენოთ. ასეთ გზას არავინ არ გამორიცხავს, განსაკუთრებით ეს ეხება თანამედროვე მასალებსა და ნაწარმის გამოშვებას. მაგრამ პრინციპული თვალსაზრისით საქონლის წარმოების ზრდის ამოცანა შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის საფუძველზე. მთავარია ამ საქმეში ორ გადაწყვეტას მივაგნოთ.

აი რას ამოწმობს განგაშრეშანი. თუ რეკონსტრუციას განვახორციელებთ ყველაზე პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით, მათ ეფექტიანობას გავზრდით 30-40 პროცენტით. ალბათ, ასე უნდა მოვიქცეთ: იქ, სადაც ასეთი მოწყობილობა არის, განვახორციელოთ ენერგიული რეკონსტრუქცია, ხოლო სადაც არ არის—რეკონსტრუქცია ორი-სამი წლით გადავდოთ, მოვაგვაროთ ეფექტიანი მოწყობილობის გამოშვება, შემდეგ კი ახალ საწარმოო ბაზაზე ავინაზღაუროთ დანაკლისი. საერთოდ, სამინისტროები და უწყებები უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა მიუდგნენ ამ საკითხებს. არ მოებღაუჭონ მოძველებულს, რათა გაკოტრებულნი არ აღმოჩნდნენ ხალხის წინაშე.

ამხანაგებო! კარგად გესმით, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა ბაზაზე სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის გეგმების ბედი, ხოლოს და ბოლოს, მანქანათმშენებლობაზეა დამოკიდებული. სწორედ აქ არის თავმოყრილი ეკონომიკის ყველა აქტუალური პრობლემა. თუ მოკლე ვადაში არ განვახორციელებთ მანქანათმშენებლობის მოდერნიზაციას, არ გადავიყვანთ მას სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის ახალი სისტემის მაქანებისა და პროგრესულად მოწყობილობის გამოშვებაზე, ვერ გადავწყვეტთ ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს.

ამ საკითხის განხილვას მიეძღვნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მანქანათმშენებლობის დარგების ხელმძღვანელთა ამას წინათ გართული თათბირი. მინისტრებთან სერიოზული საუბარი გვქონდა. განხილვამ ცხადყო, რომ ვერ შემოვიფარგლებით ამ ღონისძიებებით, რომლებიც დასახული იყო მანქანათმშენებლობის განვითარების შესახებ ცნობილი დადგენილებით. საჭიროა დამატებითი და არანაკლებ მასშტაბური ღონისძიებები მანქანათსაშენებელი კომპლექსის ძირეული მოდერნიზაციისათვის. ცენტრალური კომიტეტის დავალებით მომზადდა წინადადებანი მანქანათმშენებლობის განვითარების დაჩქარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ.

უწინარეს ყოვლისა განისაზღვრა მანქანების, მოწყობილობისა და ხელსაწყოების ტექნიკური დონის მნიშვნელოვანი ამაღლების, მარგვის ავტომატური საშუალებებით აღჭურვილი ნაწარმის გამოშვების გადიდების, საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის სპეციალური ტექნოლოგიური მოწყობილობის წარმოება მიაღწევს 4-4,2 მილიარდ მანეთს თავდაპირველად დასახული 2,5 მილიარდი მანეთის ნაცვლად.

მანქანათსაშენებელი კომპლექსის განვითარებისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებანი მთლიანად არის უზრუნველყოფილი საიჯარო სამუშაოების ლიმიტებით, რომლებიც თანაბრად განაწილდება ხუთწლეულის წლების მიხედვით. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი მამართულებებისათვის კაპიტალდაბანდებათა კონცენტრაციის, მშენებლობის ნორმატიული ვადების დაცვის მიზნით დასახულია დროებით შეჩერდეს მანქანათმშენებლობაში ასზე მეტი მშენებლობა, რომელთა საპროექტო გადაწყვეტები ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

დასახულია განხორციელდეს მანქანათმშენებლობაში სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის დიდი ღონისძიებანი. მომავალი წლიდან მკვეთრად მცირდება დასამკიცებელი დავალებების რაოდენობა ისეთი განმაზოგადებელი მაჩვენებლების და ნორმატივების როლის გაძლიერების გზით, როგორიც არის მოგება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, ძირითად ხელობათა მასალებისა და რესურსების ხვედრითი ხარჯვის შემცირება. გამორიცხულია ტონობით მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვების დაგეგმვა. მიგნებულია მეტი წილი იმ საკითხების გადაწყვეტის, გზები, რომლებიც განსაზღვრავენ მანქანათსაშენებელი კომპლექსის შიგნით დარგების ურთიერთმომქმედებას, გამოვლენილია წარმოების ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლების სხვა რეზერვები. მანქანათსაშენებელ სამინისტროებს წინადადება მიეცათ 1986 წელს დაამთავრონ თითოეული საწარმოსა და მთლიანად დარგების ტექნიკური განახლების ხელმძღვანელობა ამას წინათ გამართული თათბირი. მინისტრებთან სერიოზული საუბარი გვქონდა. განხილვამ ცხადყო, რომ ვერ შემოვიფარგლებით ამ ღონისძიებებით, რომლებიც დასახული იყო ეროვნული შემოსავლის მატების მეოთხედზე მეტი.

ეს დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა, მაგრამ ყველა სამეურნეო ხელმძღვანელს როდი ესმის იგი, რადგან ძველი წარმოდგენების ტყვეობაშია. საავტომობილო მრეწველობის სამინისტრო, მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო, ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო, ენერგეტიკის სამინისტრო, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო სისტემატურად ფუშავენ მთელ რიგ სახეობათა რესურსების დაზოგვის დავალებებს. საწარმოთა საკმაო ნაწილი კვლავ ურიგდება უძვირფასესი ნედლეულისა და პროდუქტების პირდაპირ დანაკარგებს. ჩირაღნებში უსარგებლოდ იწვის ყოველწლიურად 13 მილიარდი კუბური მეტრი ნავთობის თანამდევი გაზი. საკონიგზო ტვირთზიდვისას იკარგება მილიონობით ტონა ქვანახშირი. დიდია სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგები, რომლებიც საერთოდ თითქმის 20 პროცენტს აღწევს. ახლა, არ იკითხავთ, რამდენი ელექტროენერგია, სითბო, წყალი იხარჯება ტყუილად? ჯერ კიდევ ცუდად არის დაყენებული მეორეული რესურსების გამოყენება.

პირდაპირ უნდა ითქვას: მივუახლოვდით ისეთ მიჯნას, რომლის მიღმაც ამგვარი უყაირათობა არათუ შეუწყნარებელი, არამედ უკვე აუტანელიცაა. ფეხმოკიდებულ მანკიერებათა აღმოსაფხვრელად უნდა გამოვიყენოთ მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკა, დაგეგმვა, ეკონომიკური და ადმინისტრაციული ბერკეტები. ვალდებული ვართ დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ მფლანგველობას, დავამყაროთ უმკაცრესი მომჭირნეობის რეჟიმი. როგორც ჩანს, ისიც უნდა ვქნათ, რომ რესურსების დაზოგვისა და მათი გამოყენების დონის დავალებათა შესრულება გახდეს ყოველი საწარმოსა და კოლეტივის მუშაობის შეფასების მთავარი კრიტერიუმი.

უფრო აქტიურად უნდა წავაბალისოთ ნედლეულისა და მასალების დაზოგვისთვისაც. განა შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ ის, რომ რესურსების დაზოგვისათვის ანაზღაურება მართლაც რომ კაპიკებს შეადგენს? ეს, რა თქმა უნდა, არაფრად არ ვთვლა. საჭიროა აგრეთვე, რომ მომჭირნეობა გახდეს თითოეული მუშაკის ჩვეულება, ორგანული თვისება, ოჯახში, სკოლაში ნიადაგ უნდა ვუნერგავდეთ მოზარდ თაობას მომჭირნეობის გრძნობას.

ამხანაგებო! ხუთწლიან გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებს. დასახული მაჩვენებლებით ეიცავთ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის კურსს. ძირითადად სასურსათო პროგრამის დავალებათა დონეზეა განსაზღვრული კაპიტალდაბანდებების, პროდუქციის წარმოების მოცულობანი, აგროსამრეწველო კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა. უპირატესად განვითარდება პროდუქციის გადამუშავების, შენახვის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოები.

საერთოდ, ხელშემწყობი პირობები ექმნება აგრარული სექტორის პოტენციალის გადიდებას. ეს, რა თქმა უნდა, გამართლებულია. ამასთან ცხადად უნდა ვხედავდეთ, რომ ამ სფეროში დაბანდებული უზარმაზარი რესურსები ჯერჯერობით არ იძლევა სათანადო უკუგებას. საერთოდ დაბალი მაჩვენებლები დამთავრდა მეთერმეტე ხუთწლედი. ამან გავლენა მოახდინა სურსათით ადამიანთა მომარაგებაზე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპზე.

ობიექტურობა მოითხოვს ვთქვათ, რომ ბოლო ხანს აგრარულ სექტორში პოზიტიური ძვრები შეინიშნება. მაგრამ ისინი აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგში და ყველა ოლქში, მხარეს და რესპუბლიკაში როდი ხდება. ჩვენ წინაშე მწვავედ დგას ამოცანა უზრუნველყოთ მემცენარეობის პროდუქციის, უწინარეს ყოვლისა მარცვლეული და საკვები კულტურების წარმოება. ეს მთავარი პრობლემაა, რომლის წარმატებით გადაჭრაზეც ბევრად არის დამოკიდებული მეცხოველეობის სტაბილური განვითარება, კოლეგიურობისა და საბჭოთა მეურნეობების შემოსავალი, გადამმუშავებელ საწარმოთა ეკონომიკა.

უნდა გაძლიერდეს მუშაობა აგრარულ სექტორში, რათა გადაჭრით გაუმჯობესდეს ვითარება. ამის დიდი რეზერვები გვაქვს, ამხანაგებო. უწინარეს ყოვლისა მათ შეიცავს ის უდიდესი პოტენციალი, რომელიც უკვე შეიქმნა. პრაქტიკულად ყველა ზონაშია შექმნილი სოფლის მეურნეობის ეფექტიანი გაძღოლის გამოცდილება. მართვისა და მეურნეობრობის სრულყოფის ღონისძიებათა მეშვეობით ეკონომიკური და ორგანიზაციული წანამძღვრები შეექმნა სოფლის მშრომელთა შრომითი აქტიურობის გაძლიერებას.

დეტალებს არ შევეხები, მაგრამ მინდა კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა მთავარს: მინდვრებისა და მეცხოველეობის ფერმების დიდი პროდუქტიულობისაკენ მიმავალი გზა გადის ინტენსიურ ტექნოლოგიათა ფართო გამოყენებაზე. და ეს როგორც მიწათმოქმედებაში, ისე მეცხოველეობაში. საუკეთესო შედეგების მიღწევის არა მარტო ყველაზე ეფექტიანი გზაცაა.

კვლავაც უნდა განვაგრძოთ აგროსამრეწველო კომპლექსის გადამწყვეტ უბნებზე ძალებისა და სახსრების კონცენტრაციის კურსი. ეს იმის სამედო პირობაა, რომ მივიღოთ სოფლისათვის გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა მნიშვნელოვანი უკუგება. ჩვენი ქვეყნისა და სხვა ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, რომ მიზანშეწონილია რესურსებს თავი მოვუყაროთ იმ მეურნეობებსა და რაიონებში, სადაც ეს უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგებს როგორც პროდუქციის წარმოების მოცულობის თვალსაზრისით, ისე ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისითაც. ამასთან დაკავშირებით უპრიანი იქნება ერთხელ კიდევ ვიფიქროთ რესურსების გადანაწილებაზე, წარმოების კონკრეტული მოცულობებისათვის მათს გამოყენებაზე.

უნდა დავამუშაოთ აგრეთვე ოლქების, და შესაძლოა, სადღაც რაიონების მასშტაბითაც, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების შექმნის საკითხი, რათა ისინი გახდნენ თავიანთი ზონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაჩქარებული განვითარების კატალიზატორები, ხელი შეუწყონ მათ პროგრესული ტექნოლოგიების, მეურნეობის გაძღოლის მოწინავე მეთოდების დანერგვაში. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანი რეალიზაციას, საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევას.

ასეთი გამოცდილება უკვე შეძენილი აქვთ მოლდავეთში, უკრაინაში, სხვა რესპუბლიკებში. აქ ჩამოყალიბებულია გაერთიანებები ზონალური ინსტიტუტების, სასწავლო და საცდელი მეურნეობების ბაზაზე. ანალოგიური გამოცდილება შეძენილია მთელ რიგ მომძლე სოციალისტურ ქვეყნებში. ვფიქრობთ, მიზანშეწონილია ღრმად შევისწავლოთ იგი და უფრო აქტიურად გამოვიყენოთ პრაქტიკაში.

თუ ვაპირებთ სერიოზულ წარმატებებს მივაღწიოთ აგროსამრეწველო წარმოებაში, მარტო ტრადიციული გზებით არ უნდა ვიაროთ. მხოლოდ თუ თავს მოვუყრით რესურსებს, შევქმნით პრიორიტეტს გადამწყვეტი მიმართულებებით, მარჯვედ გამოვიყენებთ უპირატესობებს, რომლებსაც ბართვის ახალი სამეურნეო მექანიზმი და სტრუქტურა შეიცავს, შევძლებთ ვიმოქმედოთ ეფექტიანად, სწრაფად განვავითაროთ წარმოება, წარმატებით გადავწყვეტოთ სსრ კავშირის სასურსათო პროგრამით დასახული ამოცანები.

და ბოლოს, ამხანაგებო, მეთორმეტე ხუთწლედში ჩვენი წარმატებები დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ ვიმუშავებთ შედგომში მართვის, მთელი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის. ამ მუშაობის პრინციპები განსაზღვრულია. ერთი მხრივ, კვლავაც უნდა სრულყოთ ცენტრალიზებული საწყისები სახალხო მეურნეობის მართვაში, განაზოგადოთ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სხვა ეკონომიკური უწყებების როლი, დაკანონებულ ნორმატივებს, ეკონომიკურ ბერკეტებს, ტექნიკასა და კულტურაში — ასეთია ძლავრი პარტიული პოტენციალი.

იმაზე, თუ როგორ მოქმედებენ პარტიული ორგანიზაციები, ბევრად არის დამოკიდებული მოლოდინთი მშრომელის აქტიურობა, სახალხო შემოქმედების — დაჩქარების გადამწყვეტი ძალის გაჩაღება და სიღრმე. მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუ პარტიული მუშაობის ცენტრში ადამიანს დავაყენებთ, შევძლებთ ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტას. ადამიანებისაკენ, ცოცხალი საქმისაკენ შემობრუნება არის სწორედ პარტიული მუშაობის ძირფესვიანი გარდაქმნის მთავარი აზრი.

რა ცხადყო ყრილობის შემდეგ განვლილმა თვეებმა? გარდაქმნის იდეებს გაგებით მოეკიდა პარტიული კადრების უმრავლესობა — და ისინი პრაქტიკულ საქმეებად იქცევა. შეიქმნა ადგილობრივი და ცენტრალური პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ურთიერთობის ახალი ატმოსფერო. უფრო სწრაფად, მეტი გაგებით წყდება მრავალი პრაქტიკული საკითხი. საფეხურით მაღლა ავიწიეთ იმაში, რაც ეხება გულახდილობასა და სიმშვავეს პრობლემების დაყენებაში, კრიტიკისა და თვითკრიტიკის დონეს.

ღრმად, მასშტაბურად ეწევიან წარმოების ინტენსიფიკაციას მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, დონეცკის, ჩელიაბინსკის, სუმის, თათრეთის პარტიული ორგანიზაციები. ენერგიულად და მიზანმიმართულად წყვეტენ ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარების საკითხებს ბრესტის, ვოლგოგრადის, ულიანოვსკის, ხარკოვის, ირკუტსკის, ლიპეცკის, როსტოვისა და მრავალი სხვა ოლქის, მხარის, რესპუბლიკის კომუნისტები.

დიდმნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს ყველა პარტიული ორგანიზაცია. თავად დღევანდელობის შესაბამისი მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიება დაველად როდი წარმოებს. ვიწყებენ ისეთ წარმოგვიჩენსაც, თითქოს ყრილობაზე გამოთქმული მითითებანი ეხებოდეს დიდი პოლიტიკის სფეროს, ხოლო პრაქტიკული მუშაობა უნდა წარმოებდეს თავისი ჩვეულებრივი, გაკვალული გზით. უნდა ითქვას, რომ ასეთი განწყობილება ჯერ კიდევ შეინიშნება პარტიულ წრეში.

ავიღოთ, მაგალითად, კურსკის საოლქო პარტიული ორგანიზაცია. აქ ყველა რაიონში რიდი შეადწია საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთებამ. უაღრესად გამძლე აღმოჩნდა მუშაობის მბრძანებლური სტილი. მაგალითად, პარტიის ოქტომბრის რაიკომში პირველი მდივანი ამხ. ვ. ა. ანპილოგოვი და ზოგიერთი სხვა პარტიული მუშაკი ნეგატიურად ეკიდებოდნენ კრიტიკას, ხელს აფარებდნენ „სასურველ“ ადამიანებს, ცდილობდნენ დაეშალათ დაშეებული ჩავარდნები, ხოლო ნამდვილი მდომარეობის შესალამაზებლად ხშირად აიძულებდნენ სამეურნეო ხელმძღვანელებს მიემართათ წამატებებისათვის, ნაკლებად ზრუნავდნენ პარტორგანიზაციის ინიციატივის, ადამიანთა შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის განვითარებისათვის. ყოველივე ამის შესახებ მისწერა ცენტრალურ გაზეთს კოლმეურნეობა „ერასნოე ზნამიას“ პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. მ. ს. შეველიოვმა.

მუშაობის მანკიერი მეთოდები არ შეიძლებოდა საიდუმლო ყოფილიყო პარტიის საოლქო კომიტეტისათვის, მაგრამ, როგორც ჩანს, საოლქო კომიტეტის მიუხრო, პირველი მდივანი ამხ. ა. თ. გუდკოვი ვერ აღმოჩნდნენ მდგომარეობის სიმაღლეზე. საოლქო კომიტეტი არ იშურებდა ყველაზე დადებითს დახასიათებებს ამხ. ანპილოგოვის მიმართ, ლამის მაგალითად ხდიდნენ მას სხვებისათვის. ხოლო როცა ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა აპარატის მუშაკებს ადგილზე გარკვეულიყვნენ საქმის ვითარებაში, აღმოჩნდა, რომ ამხ. შეველიოვს სრული სიმართლე მიუწერია გაზეთისთვის, პარტიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელთა აზრი კი უსაფუძვლო ყოფილა.

ბოლოს და ბოლოს, ამ ამბის შედეგები შეაჯამეს რაიკომის მეკვირეებმა, რომლებმაც უნდობლობა გამოუცხადეს ამხ. ანპილოგოვს და მიიღეს გადაწყვეტილება მისი განთავისუფლების შესახებ. რატომ დროულად ვერ შეამჩნია საოლქო კომიტეტმა და ჯეროვნად ვერ შეაფასა რაიკომის მდივნის მუშაობის უვარგისი სტილი, რაიონულ პარტიულ ორგანიზაციაში შექმნილი სიტუაცია? ეტყობა, თვით პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნები, მისი ბიუროო არ ჩქარობენ გარდაქმნას, კვლავ ერთგულობენ

(დასასრული მე-4 გვ.)

ბ) ყაირათიანად გავუძღვეთ მეურნეობას, უნარიანად ვმართოთ

ამხანაგებო! ხუთწლიანი გეგმის ფარგლებში არის ბევრი სხვა რეზერვიც, რომლებიც კიდევ უფრო დაჩქარებენ ჩვენს წინსვლას. როცა ვამბობთ, რომ საჭიროა ეკონომიკის საფუძველიანი გარდაქმნა, მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შედეგად მივიჩნევთ პროდუქციის ხარისხის არსებითს გაუმჯობესებას. პარტიის ყრილობამ ხარისხის პრობლემა საერთოეროვნულ ამოცანად დასახა. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური წერილით მიმართა ყველა მშრომელს. ახლა საესებით გარკვეულად შეგვიძია ვთქვათ, რომ საბჭოთა ადამიანების უმრავლესობას შეგნებული აქვს, რომ ეს უმნიშვნელოვანესი ამოცანა დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას.

ბევრმა შრომითმა კოლექტივმა საფუძვლიანად მოაკიდა ხელი მუშაობას. განსაკუთრებული დანახარჯების გაუწევლად, მნიშვნელოვანწილად საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცების, მთელი რიგი გადაუდებელი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელების შედეგად ისეთ საწარმოებში, როგორიც არის ალმა-ათის ჩარხსაშენებელი ქარხანა, ტალინის მანქანათსაშენებელი ქარხანა, ფერგანის გაერთიანება „ზარტი“, მოსკოვის ოლქის გაერთიანება „ელექტროიზოლიტი“, საწარმოო გაერთიანება „ბაქოელექტროყოფილსაწყო“ და სხვები, ბოლო დროს მკვეთრად შემცირდა რეკლამაციების რიცხვი და უზრუნველყოფილია ზუსტად სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად პროდუქციის გამოშვება. განსაკუთრებით მიღდა გავუსვა ხაზი, რომ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში ძვრებს აქ მიაღწიეს მოქმედი მოწყობილობით.

ამგვარად, უკვე დღეს, ისე, რომ არ დაველოდოთ ახალი ტექნიკის მიღებას, შეიძლება და კიდეც უნდა გადავდგათ მტკიცე ნაბიჯი მანქანების, მოწყობილობის, სახალხო მოხმარების საგნების ხარისხის გაუმჯობესების გზაზე. როგორც იცით, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს სპეციალური დადგენილება. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად ტექნიკური და ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებანი, პროდუქციის სტანდარტიზაცია და ატესტაცია, ფასწარმოქმნა, მორალური და მატერიალური წახალისების სისტემა. საწარმოებში ნერგავენ პროდუქციის სახელმწიფო არასაუწყებო მიღებას.

ძალზე საჭიროა, რომ პარტიულმა კომიტეტებმა აქტიურად დაუჭირონ მხარი საწარმოო კოლექტივებს, სახელმწიფო კონტროლისა და მიღების ორგანოების საქმიანობას, რათა უახლოეს ხანში სერიოზულად დამასწორონ საქმე. ეს რომ რეალურია, ცხადყოფს იმ საწარმოთა გამოცდილება, სადაც ექსპერიმენტის წესით შარშან არასაუწყებო მიღების სისტემა შემოიღეს.

მტკიცე ცვლილებებს უნდა მივაღწიოთ მატერიალური რესურსების გამოყენებაშიც. ცოტა ხნის წინათ ამის თაობაზე აგრეთვე მიღებულია ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა ნედლეულისა და მასალების დაზოგვის დაძაბული დავალებანი. რესურსების დაზოგვა მასალებზე, სათბობზე, ელექტროენერგიაზე მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გადამწყვეტი წყაროა. ვაპირებთ ამ გზით მიმდინარე ხუთწლედში მივიღოთ ეროვნული შემოსავლის მატების მეოთხედზე მეტი.

ეს დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა, მაგრამ ყველა სამეურნეო ხელმძღვანელს როდი ესმის იგი, რადგან ძველი წარმოდგენების ტყვეობაშია. საავტომობილო მრეწველობის სამინისტრო, მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო, ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო, ენერგეტიკის სამინისტრო, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო სისტემატურად ფუშავენ მთელ რიგ სახეობათა რესურსების დაზოგვის დავალებებს. საწარმოთა საკმაო ნაწილი კვლავ ურიგდება უძვირფასესი ნედლეულისა და პროდუქტების პირდაპირ დანაკარგებს. ჩირაღნებში უსარგებლოდ იწვის ყოველწლიურად 13 მილიარდი კუბური მეტრი ნავთობის თანამდევი გაზი. საკონიგზო ტვირთზიდვისას იკარგება მილიონობით ტონა ქვანახშირი. დიდია სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგები, რომლებიც საერთოდ თითქმის 20 პროცენტს აღწევს. ახლა, არ იკითხავთ, რამდენი ელექტროენერგია, სითბო, წყალი იხარჯება ტყუილად? ჯერ კიდევ ცუდად არის დაყენებული მეორეული რესურსების გამოყენება.

ამგვარად, ეკონომიკის ინტენსიფიკაციის მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, დონეცკის, ჩელიაბინსკის, სუმის, თათრეთის პარტიული ორგანიზაციები. ენერგიულად და მიზანმიმართულად წყვეტენ ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარების საკითხებს ბრესტის, ვოლგოგრადის, ულიანოვსკის, ხარკოვის, ირკუტსკის, ლიპეცკის, როსტოვისა და მრავალი სხვა ოლქის, მხარის, რესპუბლიკის კომუნისტები.

დიდმნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს ყველა პარტიული ორგანიზაცია. თავად დღევანდელობის შესაბამისი მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიება დაველად როდი წარმოებს. ვიწყებენ ისეთ წარმოგვიჩენსაც, თითქოს ყრილობაზე გამოთქმული მითითებანი ეხებოდეს დიდი პოლიტიკის სფეროს, ხოლო პრაქტიკული მუშაობა უნდა წარმოებდეს თავისი ჩვეულებრივი, გაკვალული გზით. უნდა ითქვას, რომ ასეთი განწყობილება ჯერ კიდევ შეინიშნება პარტიულ წრეში.

ავიღოთ, მაგალითად, კურსკის საოლქო პარტიული ორგანიზაცია. აქ ყველა რაიონში რიდი შეადწია საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთებამ. უაღრესად გამძლე აღმოჩნდა მუშაობის მბრძანებლური სტილი. მაგალითად, პარტიის ოქტომბრის რაიკომში პირველი მდივანი ამხ. ვ. ა. ანპილოგოვი და ზოგიერთი სხვა პარტიული მუშაკი ნეგატიურად ეკიდებოდნენ კრიტიკას, ხელს აფარებდნენ „სასურველ“ ადამიანებს, ცდილობდნენ დაეშალათ დაშეებული ჩავარდნები, ხოლო ნამდვილი მდომარეობის შესალამაზებლად ხშირად აიძულებდნენ სამეურნეო ხელმძღვანელებს მიემართათ წამატებებისათვის, ნაკლებად ზრუნავდნენ პარტორგანიზაციის ინიციატივის, ადამიანთა შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის განვითარებისათვის. ყოველივე ამის შესახებ მისწერა ცენტრალურ გაზეთს კოლმეურნეობა „ერასნოე ზნამიას“ პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. მ. ს. შეველიოვმა.

მუშაობის მანკიერი მეთოდები არ შეიძლებოდა საიდუმლო ყოფილიყო პარტიის საოლქო კომიტეტისათვის, მაგრამ, როგორც ჩანს, საოლქო კომიტეტის მიუხრო, პირველი მდივანი ამხ. ა. თ. გუდკოვი ვერ აღმოჩნდნენ მდგომარეობის სიმაღლეზე. საოლქო კომიტეტი არ იშურებდა ყველაზე დადებითს დახასიათებებს ამხ. ანპილოგოვის მიმართ, ლამის მაგალითად ხდიდნენ მას სხვებისათვის. ხოლო როცა ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა აპარატის მუშაკებს ადგილზე გარკვეულიყვნენ საქმის ვითარებაში, აღმოჩნდა, რომ ამხ. შეველიოვს სრული სიმართლე მიუწერია გაზეთისთვის, პარტიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელთა აზრი კი უსაფუძვლო ყოფილა.

ბოლოს და ბოლოს, ამ ამბის შედეგები შეაჯამეს რაიკომის მეკვირეებმა, რომლებმაც უნდობლობა გამოუცხადეს ამხ. ანპილოგოვს და მიიღეს გადაწყვეტილება მისი განთავისუფლების შესახებ. რატომ დროულად ვერ შეამჩნია საოლქო კომიტეტმა და ჯეროვნად ვერ შეაფასა რაიკომის მდივნის მუშაობის უვარგისი სტილი, რაიონულ პარტიულ ორგანიზაციაში შექმნილი სიტუაცია? ეტყობა, თვით პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნები, მისი ბიუროო არ ჩქარობენ გარდაქმნას, კვლავ ერთგულობენ

(დასასრული მე-4 გვ.)

III. აქტიურად გარდავქმნათ პარტიული მუშაობა

ამხანაგებო! როცა საქმე ეხებოდა ქვეყნის ბედს, მისი აწმყოსა და მომავლისათვის საარსებოდ მნიშვნელოვან საკითხთა გადაწყვეტას, ლენინი ხაზს უსვამდა: „პარტია პასუხისმგებელია“.

ჩვენი პარტია მმართველია, მას ხელთ უპყრია საზოგადოებრივ პროცესებზე ზემოქმედების მძლავრი ბერკეტები. თეორია და პოლიტიკა, იდეები და ორგანიზაციის ძალა, მილიონობით კომუნისტი წარმოებასა და მართვაში, მეცნიერებაში, ტექნიკასა და კულტურაში — ასეთია მძლავრი პარტიული პოტენციალი.

იმაზე, თუ როგორ მოქმედებენ პარტიული ორგანიზაციები, ბევრად არის დამოკიდებული მილიონობით მშრომელის აქტიურობა, სახალხო შემოქმედების — დაჩქარების გადამწყვეტი ძალის გაჩაღება და სიღრმე. მხოლოდ

ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება

(დასასრული)

დრამოუმჭიდ სტილს, როცა ჯეროვან მხარდაჭერას არ უწევენ მშრომელთა ინიციატივას.

ყრილობის შემდეგ საბჭოთა ადამიანები სულ უფრო დიდ ინტერესს იჩენენ პარტიის საქმეებისადმი, საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებისადმი. მათ სურთ იპოვონ თავიანთი ადგილი საერთო-საბალხო ბრძოლაში ყრილობის იდეების განხორციელებისათვის, სურთ თავიანთი წვლილი შეიტანონ გარდაქმნაში. სწორედ ამის მოწმობს მრავალრიცხოვანი წერილები, რომლებიც მოდის ცენტრალურ კომიტეტსა და გაზეთების რედაქციებში, რომელთა ნაწილი ხელთა გაქვთ. თითქოსდა, პარტიული კომიტეტების ამოცანა სავსებით ნათელია — მათ ყოველმხრივ უნდა დაუჭირონ მხარი ადამიანების საზოგადოებრივ და შრომითს აქტიურობას. მაგრამ ბევრგან ყველაფერი ძველებურად რჩება: ინიციატივა აწყდება გულგრილობის კედელს, ზოგჯერ კი აშკარა წინააღმდეგობასაც.

სვერდლოვსკის ოლქის ირბიტის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში პარტბიურო დირექციასთან ერთად და პარტიის საქალაქო კომიტეტის მხარდაჭერით არსებითად გაუსწორდა საამქროს უფროსს, რომელიც მოითხოვდა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვას. კომუნისტის, მაძიებელი ადამიანის ინიციატივა პირველადინულ ბიუროკრატიზმს წააწყდა. საჭიროდ მივიჩნიეთ ეს ფაქტი, მისი უფრესად დიდ მნიშვნელობის გამო, განვგეხილა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში. თქვენ იცით, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო მის გამო ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ. ვფიქრობ, ამ შემთხვევიდან დასკვნა მარტო სვერდლოვსკელებმა როდი უნდა გამოიტანონ.

ყრილობამ პარტიულ კომიტეტებს მიზნად დაუსახა ხელმძღვანელობის პოლიტიკური მეთოდების ათვისება. მაგრამ არ ხელდება პარტიული ორგანიების მისწრაფება იკისრონ მმართველობითი ფუნქციები. ყური მიუგდეთ ზოგიერთი პარტიული ხელმძღვანელის საუბარს. ისინი ხალისით, საქმის ცოდნით ლაპარაკობენ მიმდინარე სამეურნეო კამპანიაზე, ნაწვეულსა და წონამატებაზე, ტონებზე და ა. შ., მაგრამ ხშირად იბნევიან, როცა სიტყვა ჩამოვარდება საზოგადოებრივი მოვლენების პოლიტიკურ ანალიზზე, სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანებზე, მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემებზე, ადამიანის ფაქტორის შესაძლებლობებზე.

გულახდილად რომ ვთქვათ, ჩვენ ყველა დონეზე — პირველადი ორგანიზაციებით დაწყებული და ცენტრალური კომიტეტის აპარატით დამთავრებული — უნდა გარდავიქმნათ, აღმოვფხვრათ ადმინისტრირების ელემენტები. მხოლოდ ყოველმხრივი პოლიტიკური, ორგანიზატორული და იდეოლოგიური საქმიანობა პარტიული ხელმძღვანელობის ყველა დონეზე უზრუნველყოფს ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა შესრულებას.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მებრძოლურობის გაძლიერება. მათს უმრეტ შესაძლებლობებში ჯერეთხელ დფრწუნებულვართ, მე ვიტყოდი, რომ მუშაობაში გარდაქმნაც სწორედ პირველადი ორგანიზაციების დამოკიდებლობის, თვითმოქმედების, შეტევითობის, კომუნისტთა ინიციატივისა და აქტიურობის განვითარებით უნდა დაიწყოთ. ეი მთავარი რგული, რომელსაც ნამდვილად უნდა მოგკიდოთ ხელი.

და ეს უნდა გააკეთონ პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა, რომელნიც ყველაზე ახლოს დგანან შრომითს კოლექტივებთან, იცნობენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ძალებსა და შესაძლებლობებს. ჩვენში ბევრია რაიონული და საქალაქო რგოლის პარტიული კომიტეტი, რომლებიც ახალ ვითარებაში მეტ გასაქანს აძლევენ კადრების ინიციატივს, სიმბიმის ცენტრი გადააქვთ კონტროლზე მათი მუშაობისადმი ქვემოდან, აგრეთვე საზოგადოებრიობის, პრესის ხაზით.

და ამავე დროს გრძელდება გატაცება ხელმძღვანელობის, ის კი არადა, მართვის ჩვეული მეთოდებით. ყოველივე ეს, ამხანაგებო, თავის დროზე გაჯირვების გამო, სამეურნეო მექანიზმში არსებული ხარვეზების ერთგვარი კომპენსაციის მიზნით კეთდებოდა. ახლა ასეთი პრაქტიკა არა მარტო უსარგებლო, არამედ მავნეც არის. უფრო გაბედულად უნდა ვამბობდეთ უარს დისპეტჩერის ფუნქციებზე. პარტიის რაიკომის მდივნის, მუშაკის საქმიანობის მთავარი სფერო შრომითი კოლექტივი, ადამიანები.

ბოლო დროს ხშირად შეეხვედრივარ და მისაუბრია საწარმოების ხელმძღვანელებთან, მუშებთან, იხელმძღვანელებთან, პარტიული კომიტეტების მდივნებთან და ყველა მთგანი ერთხმად ამბობს. ინიციატივიანი მუშაობის შესაძლებლობანი ნელა ფართოვდებაო. თავს იჩენს ბიუროკრატიზმი — ადმინისტრირების ღვიძლი ძმა, მართვის საქმეებში ხალხის მასეგბის მონაწილეობის აშკარა მოწინააღმდეგე.

ავიღოთ, მაგალითად, მართვის ორგანიები. როცა უშუალოდ ეცნობი მათს საქმიანობას, ხედავ, რომ ზოგიერთ მინისტრს, მთავარი სამმართველოს, საწარმოს ზოგიერთ ხელმძღვანელს საერთოდ დაავიწყდა, თუ როგორ უნდა ერთმანეთთან საუბარი, პირდაპირი საქმიანი ურთიერთობის დამყარება, და ყველაფერს მიმოწერით ამოწურავს. ნუთუ ამხანაგებს არ შეუძლიათ ტელეფონით მოილაპარაკონ, შეხვდნენ ერთმანეთს საკითხების გადაწყვეტად, ან იქნებ ეს არის ცდა ქალალდით დაიზღვიონ თავი პასუხისმგებლობისაგან?

გარკვეულწილად ეს პარტიულ ორგანიებს ეხება. მაგალითად, პარტიის ტაშკენტის საქალაქო კომიტეტმა და ქალაქის რაიკომებმა ოთხი თვის მანძილზე პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს გაუგზავნეს 1,5-2-ჯერ მეტი თავიანთი დადგენილებები, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ამგვარ ქალალდთმოხზველობას შეჰვდებით ოდესაში, გორკში, სხვა ადგილებში.

ქალალდთმოხზველობა ტექნიკური კი არა, პოლიტიკური საკითხია. ნახეთ, რით შემოიფარგლება ჩვენში ყოველგვარი შემოწმება. ცნობების, ცხრილების, ოქმების, ღონისძიებათა გეგმების შესწავლით, იმის გამორკვევით, განიხილეს თუ არა საკითხი და მიიღეს თუ არა შესაბამისი დადაწყვეტილება მის გამო. ერთი სიტყვით, მიეჩვევნენ მუშაობას ქალალდებთან და არა ადამიანებთან, და ადამიანებსაც ქალალდების მეშვეობით ხედავდნენ. ხოლონ ის, თუ როგორ შრომობენ, ცხოვრობენ ისინი, რაზე ფიქრობენ, რა პრობლემები, გუნება-განწყობილება აქვთ — ყოველივე ეს უყურადღებოდ რჩება. ირადა, საქმის არსი ხომ ეს არის.

ვერავითარი გარდაქმნა ვერ მოხდება, თუ პარტიაში, მის ყველა ორგანიზაციაში არ დამკვიდრდა ნაკლოვანებებისადმი, საქმეებში უძრაობისადმი, პარადულობისა და ფეუსკინტყვაობისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო. ამიტომ უნდა გავაძლიეროთ კრიტიკული სკკ-ბასი ყრილობის სულისკვეთებით. ჩვენ გვჭირდება ზუსტი მისამართით მიმართული პრინციპული კრიტიკა, რომელიც აღენენ ნაკლოვანებებისა და ხარვეზების მიზეზებს, მათი აღმოფხვრის ხერხებს, კრიტიკა, რომელიც გვინარჩუნებს მოუსვენრობის, მიღწეულით ჯანსაღი დაუკმაყოფილებლობის სულისკვეთებას.

ამხანაგებო! დაჩქარების კონცეფცია განუყოფელია აქტიური საკადრო პოლიტიკისაგან. ხუთწლეულის გეგმებში გათვალისწინებულია ძირეული ხასიათის ღონისძიებანი კადრების მომზადების, უწყვეტი განათლების სისტემის შექმნის დაგზე. ყველა ეს ღონისძიება მიზნად ისახავს, რომ საქმიანობის მატერიალური და სულიერი სფეროების თითოეული უბანი უზრუნველყოფილი იყოს პროფესიულად კომპეტენტური მუშაკებით:

და ეს ამოცანა მარტო სასწავლებლებში როდი წყდება, სადაც დავიწყეთ სერიოზულ გარდაქმნათა განხორციელება. ჩვენი დრო მოითხოვს ყველასაგან ცოდნის განუწყვეტელ განახლებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, იდეურ-პოლიტიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაწიერის გაფართოებას. უამისოდ შეუძლებელია უახლესი ტექნიკის ეფექტიანი გამოყენება, მეურნეობის საქმის ცოდნით გაძღოლა და უნარიანი მართვა.

განსაკუთრებით შეეხებით დღეს ხელმძღვანელ კადრებთან მუშაობას, რომლებიც მოწოდებული არიან განაზორციელონ გარდაქმნა მათთვის მინდობილ უბნებზე. აპრილის პლენუმისათვის, როგორც მოგეხსენებათ, ბევრი დადასპეული საკადრო საკითხი დაგვიგროვდა. ამან კომუნისტთა და უპარტიოთა კრიტიკული შენიშვნები გამოიწვია. ცენტრალურმა კომიტეტმა საჭირო დასკვნები გამოიტანა. საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს დაწინაურებული იყო ბევრი მომზადებული, მოწიფული კომუნისტი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ძირეულ პრაქტიკულ სამუშაოზე, კარგად რომ ესმით ახლანდელი ვითარება. კვლავაც უნდა გავაუმჯობესოთ კადრების განაწილება.

ქ. ტოლიატში გამოსვლისას მე აღვნიშნე, რომ ახლა, როცა ჩაღდება მუშაობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, განსაკუთრებით უნდა ვაფასებდეთ ნოვატორული სულისკვეთების ადამიანებს. მით უმეტეს, რომ ყველას მოვუწოდებთ კი არ ელოდონ, არამედ იმოქმედონ. არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ინიციატივიანი კაცი ხშირად არ ეპუება მოძველებულ ინსტრუქციებს, რომლებიც არ შეესაბამება ახალ ამოცანებს. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ მაძიებელი, შემოქმედი ადამიანები ძნელ მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ, მარცხი არ განიცადონ. და ეს აბსტრაქტული მსჯელობა როდია.

მინდა ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანო ერთი აღმაშფოთებელი ფაქტი, ჩერკასში არის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს ქარხანა და ამავე პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ინსტიტუტმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხანაგი ა. ი. ჩაბანოვი, შეიმუშავა ახალი ტიპის ჩარხები და მათი მართვის სისტემები. მათ აღიარება მოიპოვეს საერთაშორისო გამოფენაზე, შეკვეთები მოდიოდა ჩვენი საწარმოებიდან და საზღვარგარეთიდან.

ამავე დროს ქარხანა, რომელსაც უწინარეს ყოვლისა უნდა გამოეყენებინა ეს მიღწევები, ჯიუტად უგულებელყოფდა ახალ ტექნიკას. ხოლო როცა გასული წლის ივლისში ამხ. ჩაბანოვი დანიშნეს ქარხნის დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლადაც, იგი არ დაელოდა ახალი პროდუქციის ტექნიკური პირობების დამტკიცებას და გადაწყვიტა მოეგვარებინა მისი გამოშვება. მოწინააღმდეგენი ცხოვრების საგზური მიეცა, გამოსწორდა საწარმოს ფინანსური მდგომარეობა. მაგრამ გამოჩნდნენ ისეთი მუშაკები, რომლებმაც დაიწყეს წერა, რომ ახალმა ხელმძღვანელმა დაარღვია ინსტრუქციები, დაუშვა წამატებები. როგორღა მოიქცნენ სამინისტრო და პარტიის საოლქო კომიტეტი?

ვერ ვიტყვით, რომ ნოვატორულად. დირექტორი გადააყენეს სამუშაოდან, მასალა მის შესახებ გადასცეს საგამოძიები ორგანოებს. საქმის გასარკვევად ჩაერივნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, გენერალური პროკურორი. არავითარი ბოროტმოქმედება არ აღმოჩნდა. თითქოსდა ყველაფერი ნათელია, მაგრამ მას შემდეგაც, როცა სიმართლე დადგინდა, ინსტიტუტის პარტბიუროომ ადგილობრივი პარტიული ორგანოების თანხმობით ამხ. ა. ი. ჩაბანოვი გარიცხა პარტიიდან. უფრო მეტიც, როცა კომუნისტები აღდგნენ მის დასაცავად და წერილი გაუგზავნეს ყრილობას, ამ წერილმა მოსკოვამდე ვერც მოაღწია, იგი ფოსტაში ამოიღეს ადგილობრივმა ორგანოებმა.

აი, ამხანაგებო, რა ფაქტებს ვაწყდებით ზოგჯერ. ჩვენ პარტიული კონტროლის კომიტეტს დავავალეთ ხელი მოჰკიდოს ამ საქმეს. თითქოს სამართლიანობამ გაიმარჯვა. მაგრამ დგება საკითხი: სადღა იყო პარტიის საოლქო კომიტეტი? განა არ შეეძლო დროულად ჩასწვდომოდა საქმის არსს, არ დაეშვა საბჭოთა კანონების დარღვევა, კომუნისტისათვის ანგარიშის გასწორება?

ჩვენს პლენუმზე მთელი პრინციპულობით უნდა ვთქვათ: პარტიული კომიტეტები მოწოდებული არიან გაუფრთხილდნენ პარტიის ღირსებას, და არა მუნდირის ღირსებას. პარტიულ მუშაობაში ყველაფერს მნიშვნელობა აქვს. და, რა თქმა უნდა, იმასაც, თუ როგორ შეხვდნენ პარტკომში ადამიანს, როგორ ესაუბრნენ. როგორ გადაწყვიტეს მისთვის საჭირბოროტო საკითხები, და ბოლოს, როგორი მონაწილეობა მიიღეს მის ბედში.

ასეე ხომ ხდება: გამოთქვამს კომუნისტი საქალაქო კომიტეტში ან რაიკომში საკუთარ აზრს ან გაუზიარებს ეჭვს, მას კი იმის ნაცვლად, რომ პასუხი გასცენ არსებითად, ეუბნებიან: „ნუ გავიწყდება, სად იმყოფები!“ კაცმა რომ თქვას, სად იმყოფება იგი? საკუთარ სახლში. ვისღა მომართოს თავისი საზრუნავით ან პრობლემებით, თუ არა თავის პარტიულ კომიტეტს? აქ მას იმედი უნდა ჰქონდეს, რომ გულისხმიერად და ყურადღებით მოგვიდებიან და არა ჩინოვნიკურად მიიღებენ, ვინაიდან პარტიული ამხანაგობა ბოლშევიკური ნორმაა კომუნისტთა ურთიერთობაში ჩინისა და წოდების მიუხედავად.

ამხანაგური სულისკვეთებით უნდა იყოს გამსჭვალული მთელი ჩვენი პარტიული ცხოვრება. ვაძლიერებთ რა მომთხოვნელობას დაკისრებული საქმისადმი, ნიადაგ უნდა ვავლენდეთ ზღვარს პარტიულ პრინციპულობასა და ადამიანის ღირსების დამამცირებელ გათითხვას შორის. ამ წესის უგულებელყოფა — ასეთი მაგალითები კი ჩვენ ვიცით — იწვევს ადამიანის სულიერ გატეხვას, კოლექტივში იქმნება ურწმუნობა, ნელდება საზოგადოებრივი დაინტერესება და ადამიანების აქტიურობა. ამას ვერ შეეურიგდებით.

კვლავაც მტკიცედ და დაუცხრომლად უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ ჯანსაღი ატმოსფერო ჩვენს საზოგადოებაში მკვიდრდებოდეს, ღრმა ფესვებს იდგამდეს. ამისთან დაკავშირებით, მე ვიტყოდი, რომ ყველაზე გადაუდებელი ამოცანათა შორის კვლავ რჩება ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში უნდა ვითვალისწინებდეთ ჩვენი ხალხის, და არა იმათ აზრს, ვინც სპირტიან სასმელს ეტანება. ჩვენ მთელი ხალხის წინაშე ვიკისრეთ ვალდებულება მტკიცე ბრძოლა ვაწარმოოთ ლოთობის წინააღმდეგ, და ჩვენი პარტიული ვალია შეასრულოთ საბჭოთა ადამიანების განაწესი.

უნდა შევასრულოთ განაწესი უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. ამ საკითხის გამო ამას წინათ მიღებულ დიდ გადაწყვეტილებებს კმაყოფილებით შეხვდა საზოგადოება. მათი პრაქტიკული განხორციელება ისე უნდა წარვმართოთ, რომ სოციალიზმისათვის ამ უცხო მოვლენის აღმოფხვრისას ეს გადაწყვეტილებანი ემსახურებოდ ე ს მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

საერთოდ, ამხანაგებო, განუხრელად უნდა ვიცავდეთ ჩვენს მთავარ სოციალისტურ პრინციპს — ყოველნაირად გუშერდეთ მხარს და ვახალისებდეთ პატიოსან და კეთილსინდისიერ შრომას, ვეწეოდეთ უკომპრომისო ბრძოლას ყველა პარაზიტი ელემენტის, იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს იცხოვროს სხვის ხარჯზე, საზოგადოების ხარჯზე.

უნდა ვითვალისწინებდეთ, რომ სოციალურ-ეკონომიკურ და სულიერ სფეროებში ამოცანების სირთულესთან ერთად გაიზრდება მოთხოვნება იდეოლოგიური მუშაობის მიმართაც. მინდა დღეს აღვნიშნო ის დიდი წვლილი, რომელიც პრესას, ტელევიზიას და რადიოს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეაქვთ გარდაქმნის პროცესში. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ საჯაროობის გაფართოებისათვის, ჩვენი საზოგადოების დემოკრატიზმის პრაქტიკული რეალიზაციისათვის, სერიოზული, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პრობლემების დაყენებისათვის. ახლა განსაკუთრებით საჭიროა, რომ ჩვენი პრესა მყისვე ამჩნევდეს ახლის ყლორტებს, მოწონავეს, რომელსაც წარმოშობს გარდაქმნა ცხოვრების ყველა სფეროში, ეხმარებოდეს, რომ ისინი გაფდნენ საყოველთაო კეთილნებად. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ობიექტურობა, დიდი მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა პარტიული პრესის უცილობელი პრინციპებია, რომლებიც უზრუნველყოფს მათს ავტორიტეტს.

გაზეთი პარტიული კომიტეტის სახეა, იგი ასახავს მისი მუშაობის სტილსა და მეთოდებს, ხელმძღვანელობის დონეს, დამოკიდებულებას ყველა საჭირბოროტო საკითხისადმი. გარდაქმნება პარტიული კომიტეტი, გარდაიქმნება პრესაც. მინდა ყურადღება მივაპყრო იმას, რომ საჯაროობის, ქმედითობის დონე ბევრ ადგილობრივ გაზეთში ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება ცენტრალურ პრესას. როგორც საკითხის შესწავლა გვიჩვენებს, აქ იგრძნობა პირდაპირი კავშირი პარტიული კომიტეტების პოზიციასთან. მაშასადამე, საჭიროა სწორი თვითკრიტიკული დასკვნები პარტიულ კომიტეტებშიც, რედაქციებშიც. დარწმუნებული ვარ, რომ ამ დასკვნებს გამოიტანენ.

ერთი სიტყვით, იმედს ვამყარებ იდეოლოგიური ფრონტის შემდგომ გაკეთებულებზე, საერთო საქმისათვის მილიონთა შემაკავშირებელი მართალი იდეების მაორგანიზებელ ძალაზე.

IV. პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბუდაპეშტის თათბირის შედეგების შესახებ

ამხანაგებო! ახლა, ნება მიბოძეთ, გადავიდე პლენუმის დღის წესრიგის მეორე პუნქტზე.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ახლახან გამართული მორიგი თათბირის დოკუმენტები გამოქვეყნებულია. რა მინდოდა მეთქვა ამ შეხვედრის მნიშვნელობის შესახებ? უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ იგი მოიწყო მომქმე პარტიების მეელი რიგი ყრილობების დამთავრებისთანავე, და უმაღლესი პარტიული ფორუმების საგარეო-პოლიტიკური დებულებანი, ბუნებრივია, კოლექტიური განხილვის ფოკუსში აღმოჩნდა. ამან თათბირს უფრო მასშტაბური ხასიათი მიანიჭა და განსაზღვრა აქცენტი სტრატეგიული, გლობალური რიგის საკითხებზე.

საგანგებოდ აღინიშნა, რომ ჩვენმა და სხვა მომქმე პარტიების კურსმა — სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსმა, საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია, და, რეალიზაციის კვლობაზე, სულ უფრო მზარდ ზემოქმედებას მოახდენს მსოფლიო საზოგადოებრივი განვითარების მთელ მიმდინარეობაზე. აღინიშნა, რომ სწორედ ეს აგდებს ყველაზე მეტად საგონებელში ჩვენს კლასობრივ მოწინააღმდეგეს.

გაიმართა აზრთა გაზიარება პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სოფიის თათბირისა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ქენევის უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ განვლილი დროის მანძილზე ევროპაში და საერთაშორისო ასპარეზზე მომხდარი ამბების შესახებ. ყველა ამხანაგმა ერთსულოვნად გამოთქვა აზრი, რომ რთული ვითარებაა ჯერჯერობით არ გვაქვს საფუძველი ვილაპარაკოთ დაძაბულობის დაცხრომაზე.

თქვენ უკვე იცთ, რა ნაბიჯი გადავდგეთ, რათა ევნენეფდან მოშავალი პოზიტიური გეზი არ გამქრალიყო, არ გათქვეფილიყო საერთაშორისო ცხოვრების ორომტრიალში. ეს ბანაკთ საუკუნის დამლეგისათვის ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის კონკრეტული გეგმა, ბირთვულ აფეთქებათა მორატორიუმები, წინადადებანი ქიმიური იარაღის მოსპობის შესახებ. ჩვენი ინიციატივები უწყობდა და კვლავაც შეუწყობს ხელს საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებას.

მაგრამ სწორედ დაძაბულობის შენელების პერსპექტივას აღიქვამენ საკუთარი ინტერესების საფრთხედ დასავლეთში, უწინარეს ყოვლისა, — ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული მმართველი ზედაფენა. სულ უკანასკნელ თვეებსა და კვირეებზე მოდის თანამედროვე განვითარების კარდინალური საკითხთა გამო საბჭოთა წინადადებებზე უარების სერია; უარი სტრატეგიულ შეიარაღების შესახებ ორსებულ მორიგებებზე; უარი იარაღისაგან თავისუფალი ატოვონ კოსმოსი. ამას უნდა დავმატოს ისიც, რომ არ სურთ კეთილსინდისიერი მოლაპარაკება ყენენასა და ვენაში.

ევროპის, და არა მარტო ევროპის ყველა სახელმწიფოს ინტერესების ბატონკაცური უგულებელყოფა ცხადყო ვაშინგტონის მოქმედებამ ბერნში, რომლის შედეგადაც ჩაიშალა დიდმნიშვნელოვან მორიგებათა მიღწევა ადამიანის უფლებების დარგში. მხოლოდ თანამედროვე რეალობათა აბსოლუტური აღუქმელობით ეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელები ამყარებენ ცარიელ ძალაზე, ბირთვულ მუშტზე, ტერორისტულ აყაჩოღობაზე, გვარიანად რომ არის შემამზული იდეოლოგიური შეუწყნარებლობითა და სიძულვილით. ისინი თანამედროვე მსოფლიო სიტუაციის კვლევინდებურად აფასებენ „ვარსკვლავეთის ომების“ და ბირთვული ქობინების „კატეგორიებით, გამალებ უ ლ ი შეიარაღებითა და მილიტარისტული შანტაჟით, ო

იან სულ უფრო მეტად უთხრიან ძირს როგორც მთელი მსოფლიოს, ისე თავიანთი საკუთარი ქვეყნის უშიშროებას.

სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროებას სინამდვილეში საფრთხეს უქადიან არა გარეშე ძალები, ასეთ საფრთხეს და ფრიად გვარიანს, წარმოადგენს ამ ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ელიტა, მისი ავანტიურისტული ქცევა მსოფლიო ასპარეზზე.

სკკპ XXVII ყრილობამ წამოაყენა კაცობრიობის წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გონივრული გზები. ჩვენი მიზნები უაღრესად ნათელია. ეს არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, ეს არის ყველასათვის ხელსაყრელი ფართო საერთაშორისო თანამშრომლობა, ეს არის განიარაღება და ბირთვული იარაღის ლიკვიდაცია; ეს არის კაცობრიობის მშვიდობა. სწორედ აქედან მომდინარეობს ჩვენი პოლიტიკური კურსი როგორც ქვეყანაში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

და რაც უფრო მეტი ადამიანი იტყობს მთელ დედამიწის ზურგზე სიმართლეს საბჭოთა კავშირის პოლიტიკის შესახებ, მით უფრო მეტი მომხრე უჩნდება მას.

სწორედ ყოველივე ამის გამო აწრიალდნენ იმპერიალიზმის მმართველი წრეები. საბჭოთა ინიციატივებში მათ დაინახეს მძლავრი დაბრკოლება თავიანთი იმპერიული ზრახვების განხორციელებისა, რომელთა მიზანია მსოფლიო ბატონობა და სოციალური რევანში. რაკი ხალხებს ვერ სთავაზობენ ყველას ნებერესების შესაბამის მშვიდობიან ისტორიულ ალტერნატივას, ისინი ამბაფრებენ მილიტარისტულ ფსიქოზს, რომელმაც მათი ვარაუდით, შეიძლება გაყინოს ისტორიული პროგრესი, შეანარჩუნებინოს ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება. უფრო მეტიც, მათ მიელი აქვთ მართალია, ილუზორული, რომ შეძლებენ ხელი შეგვშალონ ჩვენი გეგმების განხორციელებაში, დაანარკოლონ სოციალისტური ქვეყნების განვითარება, აგვაცდინონ სკკპ XXVII ყრილობის კურსს, შეგვაფერხონ გამალებული შეიარაღების ხუნდებით.

გასაგებია, ამხანაგებო, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი უნდა იყოს ამ საშიში ზრახვების ჩაშლა. საბჭოთა კავშირი კვლავაც მტკიცედ განხორციელებს თავის ინიციატივებს, რომლებიც ჩვენი ხალხის, პლანეტის ყველა ხალხთა სანუკვარ იმედებს ესაყრდნობა. მაგრამ ჩვენ არასდროს არ დავუშვებთ ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვულსარკეტო უპირატესობას. და აქაც, ჩვენი ლენინური საგარეო-პოლიტიკური კურსი, ჩვენი თანმიმდევრული ძალისხმევა ეყრდნობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიის საიმედო ბაზას, რომელიც პარტიამ შეიმუშავა და რომელმაც ვრცელი გამოხატულება პოვა აქ განსახილველად გამოტანილ მეთორმეტე ხუთწლიანი გეგმის პროექტში.

არ შეიძლება იმპერიალიზმს ჩაეუგდოთ ხელში მსოფლიოს სვეტედი, დავუშვათ, რომ იმპერიალისტურმა რეაქციამ ბოლოს და ბოლოს თავს მოახვიოს კაცობრიობას სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაციის გაღრმავება. ეს, იქნებოდა მხოლოდ ერთის — ბირთვული ომის მოახლოების მომმასწავებელი. ასეთი დასკვნა გაისმა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის ყველა მონაწილის გამოსვლებში.

ჩვენ მეგობრებთან ერთად განვიხილეთ სიტუაცია, რომელიც იქმნება ამერიკის შეერთებულ შტატებთან ევნენეს მოლაპარაკებაზე. ახლა წამოიჭრა ასეთი კითხვა: ისევ ერთი ადგილი ვტკეპნოთ ევნენეს მოლაპარაკებაზე ამერიკელებთან კამათში,რაც მათ საესებით აძლევს ხელს, თუ ვეძებოთ ახალი მიდგომა, რომელიც გგვიხსნის ბირთვული შეიარაღების შემცირების გზის? ჩვენ გადავწყვიტეთ მტკიცედ დვიცავთ ევნენეში ორმხრივ მისაღები შეთანხმების პრაქტიკული ძიების გეზი და ამერიკელებს შევთავაზეთ შემდეგი შუალედური ვარიანტი:

ა) მივაღწიოთ მორიგებას, რომ უკიდურეს შემთხვევაში სულ ცოტა 15 წლის მანძილზე არ გამოვალთ რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებიდან, ხოლო სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივე დარგში მიმდინარე საშუშაოები შეიზღუდოს ლაბორატორიული კვლევის დონით, ანუ იმ ზღურბლით, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ფაქტობრივად უკვე მიაღწია;

ბ) სტრატეგიული შეტევითი შეიარაღება (საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, წყალქვეშა ნავების ბალისტიკური რაკეტები და მძიმე ბომბდამშენები) შევზღუდოთ თანაბარი დონეებით. მეორე მხარის ტერიტორიის მიმღწევი საშუალო საშორის შეიარაღების, მათ შორის საშუალეთო ბაზირების დიდი საშორის ფრთოსანი რაკეტების საკითხი ამ შემთხვევაში ცალკე ვადაწყდება.

ასეთი ვარიანტი ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირი ესწრაფვის ორმხრივ მისაღებ მორიგებას. თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენ გვერჩივნა ამთავითვე მოგველაპარაკა ერომთანეთის მიმღწევი სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების რადიკალური, 50 პროცენტიანი შემცირების შესახებ.

შევიტანეთ ევროპაში საშუალო საშორის რაკეტების შეთანხმების პროექტიც. დავთანხმდით იმაზე, რომ ამ საბეობის იარაღის მხრივ საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის ნულოვანი თანაფარდობის პირობებში ევროპის ზონაში დარჩეს ინგლისისა და საფრანგეთის ბირთვული რაკეტები — იმ რაოდენებით, როგორიც ახლაა. განვაცხადეთ აგრეთვე, რომ ჩვენ არ გაგზრდით საშუალო საშორის რაკეტების რიცხვს ევროპაში.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირმა გადადგა ახალი ნაბიჯი, რომელიც აადვილებს ევნენეს მოლაპარაკებაზე ორმხრივ მისაღებ მორიგებათა ძიებას. თუ როგორ მოეკიდება ამას ამერიკის შეერთებული შტატები, დრო გვიჩვენებს. ყოველ შემთხვევაში ცხადი უნდა იყოს: თუ ამერიკის მხარე ამჯერადაც უგულებელყოფს ჩვენს ინიციატივებს, აშკარა გახდება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაცია ეღირს თამაშს ეწევა უსერიოზულეს საკითხში, რომელზეც კაცობრიობის მომავალია დამოკიდებული.

დღეს განსაკუთრებული სიმწვავე მიენიჭა ბირთვული გამოცდის შეწყვეტის პრობლემას. გარკვეულწილად ეს ჩერნობილის ატომურ სადგურში მომხდარი ავარიის შედეგიც არის. ამ ავარიამ გვიჩვენა, რომ რადიოაქტიურ ნივთიერებათა უმცირეს გამოფრქვევასაც კი უბედურება და წუხილი მოაქვს ათასობით ადამიანისათვის.

ყველა პატიოსანმა ადამიანმა, რომლებმაც გულწრფელად თანაგვიგრძნეს და უანგარო დახმარება შემოგვთავაზეს, ამ ბნელ შემთხვევაში გაცილებით უფრო სერიოზული საფრთხე დაანახეს. ისინი ეკითხებიან საკუთარ თავსა და სხვებს: რა მოხდება, სამხედრო ატომი კონტროლს რომ აღარ დაემორჩილოს — შემთხვევით ან ბოროტი განზრახვით? თუნდაც ერთი ბირთვული ბომბის აფეთქება გაცილებით უფრო შემზარავი ტრაგედია ხდება მრავალი ქვეყნის ხალხებისათვის. სწორედ ამას სულ უფრო ღრმად უფიქრდებიან ჩვენი დედამიწის ადამიანები.

ამერიკის შეერთებული შტატები უმძიმეს პასუხისმგებლობას კისრულობს კაცობრიობის წინაშე, როდესაც უარს ამბობენ შეწყვიტოს ბირთვული გამოცდა, შეუერთდეს საბჭოთა მორატორიუმს. პლანეტა შეშფოთებულია ამერიკის საქციელით, მაგრამ სიტუაციის სერიოზულობა სიამისოდაც მოგვიფიქრებს, რომ გავაორაქციოთ და გავასამკეცოთ ღონისძიებანი ყოველგვარი ბირთვული გამოცდის შესაწყვეტად, ბირთვული იარაღის სალიკვიდაციოდ.

ჩერნობილის უბედურება ჩვენი უბედურებაა. ჩვენ შეგვწევს ძალა დავძლიოთ იგი. მაღლობას მოვახსენებთ ყველას თანაგრძნობისა და დახმარებისათვის ამ შემთხვევასთან დაკავშირებით — სულით და გულით ვუმადლით ყველას. მაგრამ დაე ჩერნობილი, ისევე როგორც სხვა შემთხვევები, როდესაც ატომი გამოსულა ადამიანის მორჩილებიდან, გამხდარიყოს მრისხანე